DIGITAL SOUTH CAUCASUS COLLECTION

This pdf is a file in the Digital South Caucasus Collection (DSCC), a collection in the Ancient World Digital Library (AWDL) hosted by the Institute for the Study of the Ancient World Library at New York University.

- Creator: Bragvadze, Z. / ბრაგვაძე, ზ. /
- Title: Becropol Of Chkhari / ჩხარის სამაროვანი
- Publication Date: 1997
- Publisher: Georgian National Museum
- Place of Publication: Tbilisi
- Collection: Digital South Caucasus Collection
- Collection ID: dscc_3dd4cc486a

About

The Digital South Caucasus Collection (DSCC) is a collection in the Ancient World Digital Library (AWDL), a project of the Library of the Institute for the Study of the Ancient World (ISAW) at New York University in cooperation with the Georgian National Museum and the Institute of Archaeology and Ethnography in the National Academy of Sciences of the Republic of Armenia. AWDL's mission is to identify, collect, curate, and provide access to a broad range of scholarly materials relevant to the study of the ancient world. The ISAW library is responsible for curating the collection, clearing the rights as needed, preserving the digital copies in NYU's Faculty Digital Archive, creating high-quality metadata in order to maximize discoverability, and making the works accessible to the general scholarly public.

Rights

The Georgian National Museum has granted permission to the Institute for the Study of the Ancient World of New York University to publish this material electronically in the Digital South Caucasus Collection (DSCC). We are making such material available on a noncommercial basis for research and educational purposes, in an effort to expand access to thinly-held and/or out-of-print material related to the study of the ancient world to the widest possible audience. If you wish to use copyrighted material from this site for purposes beyond those in accordance with fair use (Title 17 U.S.C. Section 107), you must obtain permission from The Georgian National Museum. We respect the intellectual property rights of others. If you believe that you own the copyright to the material made available on this site, please see our takedown policy: http://dcaa.hosting.nyu.edu/dscc/takedown-notice.

ზურაბ ბრაგვაძე

ჩხარის სამაროვანი

საქართველოს აკადემიკოს შ. ამირანაშვილის
სახელობის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი

IVE
5054

ზურაბ ბრაგვაძე

22631

ჩხარის სამაროვანი

თბილისი
1997

63. 3 (2Г)
902. 6
ბ. 90

ნაშრომში განხილულია თერჯოლის რაიონის ს. ჩხარში ოქონის გორაზე 1994-1995 წლებში აღმოჩენილი გვიანანტიკური ხანის არქეოლოგიური მასალა. განკუთვნილია არქეოლოგების, ისტორიკოსებისა და საქართველოს კულტურის ისტორიით დაინტერესებული მკითხველთა წრისათვის.

რედაქტორი: ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი
გიორგი მახარაძე

© "ტრიადა" 1997

შესავალი

1994 წელს საქართველოს აკადემიკოს შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის წინა ფეოდალური ხანის კულტურისა და ხელოვნების განყოფილების ბაზაზე ჩამოყალიბდა არქეოლოგიური ექსპედიცია, რომელმაც მიზნად დაისახა თერჯოლის რაიონის წინა ქრისტიანული პერიოდის არქეოლოგიური ძეგლების შესწავლა.

ექსპედიციის მიზანს ბევრი გარემოება განაპირობებდა. ჯერ ერთი, თერჯოლის რაიონი ნაკლებად არის შესწავლილი ანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლების მხრივ (ან უფრო სწორად, თითქმის შეუსწავლელია), მეორეც, იგი მდებარეობს ისეთ გეოგრაფიულ რეგიონში, სადაც უძველესი დროიდანვე თავი უნდა მოეყარა და ერთმანეთს უნდა შერწყმოდა დასავლურ და აღმოსავლურ ქართული კულტურის ნიშნები. ამ ვითარებაზე მიანიშნებდა თერჯოლის რაიონის ტოპონიმიკაც (მაგ. საზანო, ჩხარი და სხვა). თერჯოლის რაიონში მდებარეობს სკანდას ციხეც, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ირან-ბიზანტიის ხანგრძლივ ომში, ხოლო როგორც აღვნიშნე, ამ რეგიონში არქეოლოგიური გათხრები თითქმის არ ჩატარებულა. გამონაკლისს შეადგენდა მხოლოდ აკადემიკოს სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ წარმოებული მცირე მასშტაბის სამუშაოები სკანდას ციხეზე და გიორგი ცქიტიშვილის მიერ 1952 წელს ჩატარებული გათხრები ძევრში, ასევე შემთხვევითი აღმოჩენები, მაგრამ ამ გათხრებს არ ჰქონია სისტემური ხასიათი და არ ითვალისწინებდა თერჯოლის რაიონის ძირფესვიან არქეოლოგიურ გამოკვლევას.

ექსპედიციამ გათხრები ჩხარის ოქონის გორიდან დაიწყო. საქმე ისაა, რომ ოქონის გორაზე მდებარეობდა სამაროვანი, რომელიც საკმაოდ ახლოს იყო განლაგებული მიწის ზედაპირიდან (დაახლოებით 15-25 სმ.-ის სიღრმეზე). მიწის პრივატიზაციასთან დაკავშირებით ოქონის გორის ჩრდილო-აღმოსავლეთი ფერდი, სამაროვნის ტერიტორია, კერძო საკუთრებაში გადაეცა ჩხარის ერთ-ერთ მკვიდრს, რომელმაც აქ დაიწყო ხეხილის ბაღის გაშენება. ამის გამო იქმნებოდა არქეოლოგიური ძეგლების შემთხვევითი აღმოჩენისა და განადგურების საშიშროება. სწორედ ამიტომ გადავწყვიტეთ, პირველი თხრილი ოქონის გორაზე გაგვეჭრა, მაგრამ ვერც ამან უშველა საქმეს, რადგან როგორც გათხრების პროცესში გაირკვა, აქ უკვე მოესწროთ რამდენიმე სამარხის განადგურება, ხოლო სამარხეული ინვენტარი უკვალოდ დაიკარგა. ოქონის გორაზე ჯერ კიდევ ამ ოცდაათიოდე წლის წინათ აღმოჩნდა მდიდრული სამარხი. აღმოჩენის ადგილზე მისულა ჩხარის საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებელი ალექსანდრე ბუცხრიკიძე, რომელსაც მოუსწრია სამარხეული ინვენტარის ნაწილის გადარჩენა. მან ეს მასალები მოათავსა ჩხარის მიწათმოქმედებისა და ხელოსნობის

მუზეუმში, მაგრამ ამ რამდენიმე წლის წინათ მუზეუმი გაუქურდიათ და სხვა ექსპონატებთან ერთად ოქონის გორის სამარხის ნივთების ნაწილიც დაკარგულა (ოქროს საყურეები, რომაული მონეტები).

მე მაინც გადავწყვიტე, შემთხვევით აღმოჩენილი სამარხის გადარჩენილი ინვენტარი შემეტანა წინამდებარე გამოკვლევაში, რადგან მიუხედავად ნაკლული სახისა, აღნიშნული მასალები წარმოადგენს ერთიან კომპლექსს და ბევრ საინტერესო კითხვას გასცემს პასუხს. შემთხვევით აღმოჩენილი სამარხიც მდებარეობდა სამაროვნის ტერიტორიაზე. ალ. ბუცხრიკიძემ შეუცდომლად გვიჩვენა მისი აღმოჩენის ადგილი, სადაც ამდენი წლის გასვლის მიუხედავად, კვლავ ჩანდა ორმოს კონტურები. აღნიშნულ სამარხს მივეცით პირობითი შიფრი-სამარხი 0.

ახლადშექმნილი ექსპედიცია თავიდანვე დიდი სირთულეებიის წინაშე დადგა. ხელოვნების მუზეუმს არ აღმოაჩნდა ძეგლის გასათხრელი თანხები. ამიტომ იძულებული გავხდით დაგვეწყო სპონსორების ძებნა, მაგრამ სამწუხაროდ, არქეოლოგიურ ექსპედიციასთან თანამშრომლობის სურვილი არავინ გამოთქვა. ასე რომ, არქეოლოგიური კომისიის მიერ გაცემული ღია ფურცელი გაუქმებისთვის, ხოლო ექსპედიცია დაშლისთვის იყო განწირული, მაგრამ ამ კრიტიკულ მომენტში მხსნელად მოგვევლინა ღირსეული პიროვნება, ბატონი თემურ ნოზაძე, რომელმაც მოგვცა იმის საშუალება, რომ ექსპედიცია ველზე გამგზავრებულიყო. ძეგლის შესასწავლი თანხა კი მთლიანად გამოჰყო თერჯოლის რაიონის გამგეობამ.

არ შეიძლება საგანგებოდ არ აღინიშნოს თერჯოლის რაიონის გამგებლის ბატონ გიორგი ამირანაშვილის მონდომება და თანადგომა. სწორედ მისი თაოსნობით და ინიციატივით ჩხარის გათხრები რაიონული ბიუჯეტიდან ფინანსდებოდა. ექსპედიციის საქმიანობა თავიდანვე მოექცა რაიონის მესვეურთა ყურადღების ცენტრში და ორი სეზონის მანძილზე ყველა აღმოჩენა მათი და პირადად რაიონის გამგებლის შემწეობით განხორციელდა. ჩხარის აღმოჩენებით დაინტერესდა იმერეთის გუბერნატორი ბატონი თემურ შაშიაშვილი, რომელმაც ადგილზე მოინახულა სამაროვნის გათხრები. ექსპედიცია დიდად არის დავალებული ჩხარის მიწათმოქმედების და ხელოსნობის მუზეუმის დირექტორის ბატონ ალექსანდრე ბუცხრიკიძისგან, რომელიც ყოველთვის ჩვენს გვერდდით ტრიალებდა და ბევრი ყოფითი პრობლემის გადაჭრაში მოგვეხმარა. ექსპედიცია მადლობას უხდის ჩხარის იმ მკვიდრთ, რომლებიც მიუხედავად მცირე საფასურისა, მაინც ხალისით მუშაობდნენ ჩვენთან და იზიარებდნენ ყოველი აღმოჩენის სიხარულს.

ჩხარის ოქონის გორის გათხრებში გარდა ამ სტრიქონების ავტორისა, მონაწილეობდნენ ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი გურამ ყიფიანი, გოჩა ლომთაძე, ლერი ფავლენიშვილი, ლაშა ლაშხი, ხათუნა სონღულაშვილი, ბიანკა ჰანსენი.

არქეოლოგიური მასალა აღწერილია ავტორის მიერ. ფოტო გადაღებები შეასრულეს იგორ გილგენდორფმა, რეზო საანიშვილმა, ზაზა ბესელიამ, გოჩა ლომთაძემ. გრაფიკული ტაბულები შესრულებულია მანანა წერეთლის მიერ, ნივთების რესტავრაცია, გაწმენდა და გამაგრება მოახდინა ნანა გოგინაშვილმა.

ოქონის გორის სამაროვანი

ოქონის გორა მდებარეობს სოფელ ჩხარის ჩრდილოეთ საზღვარზე. იგი წარმოადგენს უზარმაზარ ბუნებრივ მასივს, რომელზეც დღესაც შემორჩენილა გრანდიოზული ციხის ნანგრევები. აღნიშნული ციხის შესახებ წერილობითი ცნობები არ მოგვეპოვება. ვახუშტი ბატონიშვილის გადმოცემით, ჩხარი ოდესღაც ყოფილა ქალაქი, რომელიც დაუნგრევია ოდიშის მთავარს ლევან II დადიანს და უკვე ამ დროიდან ჩხარი დაბად მოიხსენიება ვახუშტის თხზულებაში(1). სავარაუდოა, რომ ლევან დადიანის მიერ სწორედ ოქონის ციხე იქნა განადგურებული.

ციხის აღმოსავლეთით, დამრეც ფერდობზე, გორის ჩრდილო-აღმოსავლეთ სექტორში აღმოჩნდა სამაროვანი, სადაც ექსპედიციამ გათხარა 15 სამარხი. როგორც შესავალში აღვნიშნე, აქვე ამ სამი ათეული წლის წინათ შემთხვევით მიაკვლიეს სამარხს, რომლის ნივთების ნაწილი დაცულია ჩხარის მიწათმოქმედებისა და ხელოსნობის მუზეუმში. შემთხვევით აღმოჩენილი სამარხის მასალაზე ნებართვისათვის მუზეუმის დირექტორს ალ. ბუცხრიკიძეს მადლობას ვუხდი.

გარდა ამ 16 სამარხისა, სამაროვნის ტერიტორიაზე სხვა სამარხებიც ყოფილა, რომლებმაც ჩვენამდე ვერ მოაღწიეს. ორი განადგურებული და პირწმინდად გაძარცვული სამარხის ნაშთი ჩვენც დავაფიქსირეთ. მიცვალებულის ძვლები უწესრიგოდ იყო არეულ-დარეული და ცხადი ხდებოდა, რომ "გამთხრელებმა" ისინი გაძარცვეს, ხოლო ძვლები უსისტემოდ ჩაყარეს მიწაში. ამიტომ ამ ორი სამარხის შეტანა წინამდებარე ნაშრომში არ მივიჩნიე მიზანშეწონილად, რადგან ისინი არ იძლეოდნენ არავითარ ინფორმაციას.

სამარხი 0 მდებარეობდა **C1** კვადრატში. (ტაბ. I) მიცვალებულის დაკრძალვის პოზასა და სამარხის ზომებზე ინფორმაცია ვერ მოვიპოვეთ. სამარხეული ინვენტარის ნაწილი დაკარგულია. გადარჩენილი ინვენტარი შემდეგია:

აბზინდა-ბრინჯაოსი, ბრტყელგანივკვეთიან ღეროზე ჩამოცმულია ოვალური რგოლი შესაკრავი ენით (ტაბ.IX სურ.1)

ბალთა-ვერცხლის, ორნაწილადი. პირველი ნაწილი წარმოადგენს ბრტყელ, ოთხკუთხა ფირფიტას, ორმაგად მოკეცილს, რომელიც ერთმანეთთან გადაბმულია მანჭვლებით, შუაში ზის სარდიონის თვალი. მეორე ნაწილი ოვალური ფორმისაა, სამი რგოლითა და შესაკრავი ენით.

სიგრძე 11 სმ. (ტაბ. IX. სურ.2)

ბალთა-ბრინჯაოსი, ჩარჩო შესრულებულია წნული ორნამენტის რამდენიმე რიგით, კუთხეებში მოთავსებულა მაღალი კონუსები, ცენტრალური ფიგურა სიბრტყეზე მოცემული ცხენის გამოსახულებაა,

მის ზემოთ ხარია, ქვემოთ-ფრინველი, ხოლო წინ- ძაღლი.

ბალთის უკანა მხარეს შემორჩენილია რკინის შესაკრავის ფრაგმენტები. ნივთი დაზიანებულია. ქვედა მარჯვენა კუთხე მოტეხილი აქვს.

სიგრძე-14.5 სმ. სიგანე-13.5 სმ. ჩარჩოს სიგანე-2.5 სმ. (ტაბ. IX. სურ.3 ილუსტრაცია 1)

მძივები-სხვადასხვა ფორმის, ზომისა და მასალის (კირქვის, პასტის, მინის, მინისებური პასტის, გიშრის, მთის ბროლის) (ტაბ. XI სურ.2)

მძივი-მინის, ყვითელი ხაზებით დაფანჯრული. **d**-5 მმ. (ტაბ. XI სურ2)

დოქი-თიხის, მორუხო-მოაგურისფრო, ფართო პირიანი, რომლის გვირგვინი მოტეხილია, სწორი, დაბალყელიანი, დაქანებულმხრებიანი და მრგვალძირიანი. ბრტყელგანივკვეთიანი, ოდნავ ჩაღრმავებული ყური მიძერწილია მხარსა და პირზე.

ყურზე ზის კოპი. დამზადებულია ქარს მინარევიანი, უხეში თიხისაგან. **h**-19 სმ. პირის **d**-6 სმ. ძირის **d**-7 სმ. კეცის სისქე-7 მმ.(ტაბ. XII ილუსტრაცია 2)

მახვილი-რკინის, გრძელი, საგანგებოდ მოხრილი, ბრტყელი. წვერისკენ თანდათან დავიწროებული. პირი ჭრილში რომბულია. მთელ სიგრძეზე დაუყვება დაბალი ქედი. ვადაზე ჩამოცმული აქვს ბრტყელი, ვიწრო გამოშვერილი მხრები. სატარე ყუნწი ბრტყელი და ვიწროა.

სიგრძე-75 სმ. სიგანე-6 სმ. სატარეს სიგრძე-10 სმ (ტაბ.X სურ.2)

ისრისპირები-რკინის, სამკუთხედის ფორმის, კარგად გამოკვეთილი ჩასასმელი ყუნწებით (6 ცალი) (ტაბ.X სურ.1)

მონეტა-ვერცხლის, სეპტიმუს სევერუსის

შუბლი

გამოსახულია გვირგვინიანი გრძელწვერა სეპტიმუს სევერუსის თავი პროფილში მარჯვნივ. გარსშემოუყვება წარწერა-**AYLCEP CEOYHPOS** (ტაბ. X სურ.1. ილუსტრაცია 3.1)

ზურგი

არგეის მთა მწვერვალზე ვარსკვლავითა და ცენტრში

ნახევარმთვარით. გარშემო წარწერაა **MHTP KAIC**.ქვემოთ **ETIC** (ტაბ.X სურ.1. ილუსტრაცია 3.1)

წონა-3. 10 გრ. ზომა-17 მმ. მოჭრილია კესარიაში.

მონეტა-ვერცხლის. ავგუსტი I-ის.

შუბლი

იმპერატორი პროფილში დაფნისგვირგვინოსანი თავით. გარშემო წარწერაა, რომელიც დაზიანებულია. იკითხება მხოლოდ **DIVIFRATER**

ზურგი

გაიუსი და ლუციუსი ეყრდნობიან ფარს. წარწერა გადაშლილია და თითქმის არაფერი ჩანს. მონეტის ქვედა მხარეს წარწერაა **CAESAR**

წონა-2.64 გრ. ზომა-18 მმ (ტაბ.XI სურ.1 ილუსტრაცია 3.2)

მოჭრილია კესარიაში.

სამარხი 1 აღმოჩნდა E4 კვადრატში (ტაბ.I). მიწის ზედაპირიდან 20 სმ-ის სიღრმეზე. მიცვალებულის ძვლები შემორჩენილი იყო ფრაგმენტულად. დაკრძალვის პოზა ბოლომდე ვერ დგინდება. როგორც ჩანს, მიცვალებული დაკრძალული უნდა ყოფილიყო მარჯვენა გვერდზე, ნახევრადმოკრუნჩხულ პოზაში, თავით სამხრეთ-დასავლეთისაკენ.

სამარხის სიგრძე 90 სმ სიგანე 60 სმ (ტაბ. II სურ. I)

მიცვალებულის ფეხებთან აღმოჩნდა;

თიხის ჭურჭლის (დოქის) ფრაგმენტი, შემორჩენილია მხოლოდ ძირის ნატეხი. დამზადებულია ქარსმინარევიანი, უხეში მოწითალო-მოაგურისფრო თიხისაგან.

კეცის სისქე-7 მმ. (ტაბ. XIII სურ.I)

მიცვალებულის თავის არეში დაფიქსირდა სარდიონის ორი მძივი (ტაბ XIII სურ.2).

სამარხი 2 აღმოჩნდა E3 კვადრატში (ტაბ.I) მიწის ზედაპირიდან 20 სმ-ის სიღრმეზე. მიცვალებული დაკრძალული იყო ნახევრადმოკრუნჩხულ პოზაში მარცხენა გვერდზე, თავით სამხრეთ-დასავლეთისაკენ.

სამარხის სიგრძე-90 სმ. სიგანე-80 სმ (ტაბ. II სურ2) მიცვალებულის თავთან ეყარა ძლიერ დამტვრეული თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები, რომლებიც შემორჩენილია მხოლოდ ბრტყელი ძირის სამი ნატეხის სახით. ჭურჭლის ფორმის აღდგენა არ ხერხდება. თიხა მოწითალო-მოაგურისფროა, შერეული აქვს ქარსის მინარევები და უხეშადაა გამომწვარი. კეცის სისქე-10 მმ (ტაბ. XIII სურ.5)

მიცვალებულის თავთან დადასტურდა მინის, მინისებური პასტისა და პასტის მძივები და ბრინჯაოს საკიდი, რომელიც წარმოადგენს ქართული. ტ-ს მსგავს რგოლს (ტაბ. XIII სურ. 3 და 4)

სამარხი 3 გაითხარა E3 კვ-ში (ტაბ.I). მიწის ზედაპირიდან 20 სმ-ის სიღრმეზე. მიცვალებული დაკრძალული იყო ნახევრადმოკრუნჩხულ პოზაში მარჯვენა გვერდზე, თავით სამხრეთ-დასავლეთისაკენ.

სამარხის სიგრძე-80 სმ. სიგანე-50 სმ (ტაბ. III სურ. I)

მიცვალებულის ყელის არეში აღმოჩნდა მინის, მთის ბროლისა და მოწითალო კირქვის მძივები (ტაბ.XIII სურ. 6)

სამარხი 4 მდებარეობდა C2 კვ-ში (ტაბ. I). მიწის ზედაპირიდან 20 სმ სიღრმეზე. როგორც ჩანს, ორმოსამარხი შემოზღუდული იყო ქვებით, რომლებიც შემორჩენილია სამარხის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში. მიცვალებული დაკრძალული იყო ნახევრადმოკრუნჩხულ პოზაში, მარჯვენა გვერდზე, თავით სამხრეთისაკენ.

სამარხის სიგრძე-120 სმ. სიგანე-60 სმ. (ტაბ.III სურ. 2)

მიცვალებულის თავის და ყელის არეში დაფიქსირდა გიშრის, სარდიონის, მინის, მინისებური პასტის, კირქვის, პასტის მძივები (ტაბ.XIV სურ.1)

აქვე აღმოჩნდა წყვილი საყურე-ბრინჯაოსი, წარმოადგენს მრგვალ განივკვეთიანი ღეროსაგან დამზადებულ, არათანაბრად მოხრილ რკალს, რომელიც ბოლოვდება ყურძნის მტევნისებური შემსხვილებებით. (ტაბ. XIV სურ. 2)

მიცვალებულის მუცლისა და ხელების არეში აღმოჩნდა; ბეჭედი ვერცხლის, დამზადებულია მრგვალგანივკვეთიანი ღეროსაგან, თვალბუდიანი, ბუდეში ჩასმულია სარდიონის მოწითალო თვალი, რომელზეც ამოკაწრულია ინტალიო. იგი წარმოადგენს პროფილში მდგომი მარსის გამოსახულებას. მარცხენა ხელში უკავია შუბი, მარჯვენა ხელი გაწვდილი აქვს წინ. თავზე ახურავს ჩაჩქანი.

ინტალიოს სიგრძე-8 მმ. სიგანე-6 მმ (ტაბ. XIV. სურ. 7 და ზილუსტრაცია 5)

მონეტა-ვერცხლის, ავგუსტი I-ის. ანალოგიურია 0 სამარხში აღმოჩენილი ცალისა. მისგან განსხვავებით, უფრო დაზიანებულია. ისე რომ, წარწერების წაკითხვა არ ხერხდება. განირჩევა მხოლოდ ზურგის ქვედა წარწერა **CAESAR**

წონა-2 გრ. (ტაბ. XIV, სურ. 6. ილუსტრაცია 3.3)

მოჭრილია კესარიაში.

თვალი-ქარვის, მოშავო ლაქით (ტაბ. XIV სურ. 7)

აბზინდა-ბრინჯაოსი, წარმოადგენს მრგვალგანივკვეთიანი ღეროსაგან დამზადებულ ოვალურ რკალს, რომელსაც შემორჩენილი აქვს შესაკრავი ენის ფრაგმენტი (ტაბ. XIV სურ. 3)

მშვილდსაკინძი-ბრინჯაოსი, შემორჩენილი აქვს რკინის შესაკრავის ფრაგმენტი (ტაბ. XIV სურ. 4)

ფირფიტები-წარმოადგენს რვიანის ფორმის ვერცხლის საკერებლებს. უკანა მხარეს შერჩენილი აქვს ბრინჯაოს სამაგრები.

სიგრძე 3 სმ.(ტაბ. XIV სურ.10)

ზარაკი-ბრინჯაოსი, კონუსის ფორმის, ზეაწეული ყუნწითა და სამკუთხედის ფორმის ნახვრეტებით დაფანჯრული. შემორჩენილი აქვს რკინის ენა.

h-5 სმ. (ტაბ. XIV სურ. 8)

რგოლი-ბრინჯაოსი, ბრტყელგანივკვეთიანი ღეროსაგან დამზადებული, გადატეხილი (ტაბ.XIV სურ. 9)

სატევარი-რკინის, უაღრესად დაზიანებული, გატეხილი, შემორჩენილია მხოლოდ წვერი და ტარის ფრაგმენტი (ტაბ. XV სურ 1)

სატევარი-რკინის, ღარიანი, სატარე ყუნწის ნაშთით. ძლიერ დაზიანებული, ვადასთან მოხრილი (ტაბ. XV სურ. 2)

მახვილი-რკინის, ბრტყელი, წვერისკენ თანდათან შევიწროებული, ორლესული, პირი რომბული ფორმის, მთელ სიგრძეზე გასდევს დაბალი ქედი, ვადასთან მხრები მოტეხილი აქვს. სატარე ყუნწი ბრტყელი და ვიწროა.

სიგრძე-80 სმ. სიგანე-4 სმ. ტარის სიგრძე-7 სმ. ტარის სიგანე-1 სმ. (ტაბ. XV სურ. 3)

სამარხი 5 გაითხარა **B3** კვ-ში (ტაბ.I). მიწის ზედაპირიდან 20 სმ-ის სიღრმეზე, მიცვალებული დაკრძალული იყო მოკრუნჩხულ პოზაში, მარჯვენა გვერდზე, თავით სამხრეთ-დასავლეთისაკენ.

სამარხის სიგრძე 110 სმ სიგანე 70 სმ (ტაბ. IV სურ. 1)

სამარხი უინვენტაროა.

სამარხი 6 მდებარეობდა **D3** კვ-ში (ტაბ.I). მიწის ზედაპირიდან 20 სმ-ის სიღრმეზე. სამარხში დაკრძალული იყო ორი მიცვალებული ნახევრადმოკრუნჩხულ პოზაში, თავით სამხრეთ-დასავლეთისაკენ.

სამარხის სიგრძე 110 სმ. სიგანე 90 სმ. (ტაბ. IV სურ. 2)

მარჯვნივ დაკრძალული მიცვალებულის ყელის არეში დაფიქსირდა სარდიონის, კირქვის, მინის, მინისებური პასტის მძივები (ტაბ. XVI სურ.1)

კისრის და ყელის არეში აღმოჩნდა;

რგოლი-ბრინჯაოსი, ძლიერ დაზიანებული, შემორჩენილია რამდენიმე ფრაგმენტის სახით. რგოლის ფრაგმენტები დაწნეხილი და სპირალისებურად დახვეულია. შემორჩენილი აქვს შესაკრავის ნაწილი (ტაბ. XVI სურ. 4)

რგოლთან ერთად დაფიქსირდა ბრინჯაოს ფოთლისებური ფორმის საკიდი, შესაკრავი რკალითა და წაწვეტებული ბოლოთი (ტაბ. XVI სურ. 4. ილუსტრაცია 8)

მიცვალებულის თავის არეში დადასტურდა;

საყურე-ოქროსი, დამზადებულია ოვალურგანივკვეთიანი, არათანაბრად მორკალული რგოლისაგან. რგოლზე დახვეულია სპირალური ფორმის ოქროს წვრილი მავთულები. რგოლის ბოლოში მირჩილულია ცვარათი შედგენილი პირამიდული ფორმის ბურთულები, რომლებიც ქმნიან მტევნის გამოსახულებას.

სიმაღლე 3 სმ. დიამეტრი-2 სმ. (ტაბ. XVI სურ. 2 ილუსტრაცია 6)

საყურე-ოქროსი. აღწერილის ანალოგიური (ტაბ.XVI სურ.2 ილუსტრაცია 6)

გულ-მკერდის მიდამოებში აღმოჩნდა;

ორი საკიდი, დამზადებულია ბრინჯაოსაგან, გახვრეტილ, მორკალულ ღეროზე ჩამოკიდებულია წიწოვანი ორნამენტით შემკული წყვილი საკიდი. სიმაღლე 8 სმ (ტაბ. XVI სურ. 3)

მიცვალებულს ხელებზე აღმოაჩნდა ბრინჯაოს რგოლები და ორი სამაჯური.

რგოლი-ბრინჯაოსი, მრგვალგანივკვეთიანი, მსხვილი ღეროები ერთმანეთთან შეერთებულია გამსხვილებული თავებით (ტაბ.XVI სურ.4)

რგოლი-ბრინჯაოსი,თანაბრადმორკალული ბოლოები ბრტყლად მოკეცილია. (ტაბ.XVI სურ.6)

სამაჯური-ბრინჯაოსი, დამზადებულია ბრტყელგანივკვეთიანი ფირფიტისაგან, ზედაპირი შემკულია წიწოვანი ორნამენტით. d-7 სმ.(ტაბ.XVI სურ.5)

სამაჯური-ბრინჯაოსი, დამზადებულია მრგვალგანივკვეთიანი ღეროსაგან, ბოლოები გადახვეულია სპირალისებურად. d-7 სმ. (ტაბ. XVI სურ.7)

თითებზე დაფიქსირდა ვერცხლის ორი ბეჭედი, რომლებიც მთლიანად იმეორებს მეოთხე სამარხში აღმოჩენილი ცალის ფორმას. მათი დიამეტრი 2 და 2.5 სმ-ია და ბუდეში ჩასმული იყო; ერთში სარდიონის, ხოლო მეორეში ქარვის თვალი (ტაბ. XVII სურ. 2 და 3)

მიცვალებულის მუცლის არეში აღმოჩნდა;

ფირფიტა-ბრინჯაოსი, საკერებელი, წრიული ფორმის, რამდენიმე ადგილას გახვრეტილი, შემკული ირგვლივი კონცენტრული ღარებით. შუაში ამობურცული. d-7 სმ (ტაბ. XVII სურ. 1)

მშვილდსაკინძი-ვერცხლის, გადახვეული აქვს ბრინჯაოს შესაკრავი. (ტაბ.XVII სურ. 7)

მარცხნივ დაკრძალულ მიცვალებულს აღმოაჩნდა;

საყურე-ვერცხლის, თავგახსნილი, სამკუთხედის ფორმით დაბოლოებული. h-1.5 სმ (ტაბ.XVIII სურ. 5)

მძივები-მინის, მინისებური პასტის, სარდიონის, მთის ბროლის, კირქვის (ტაბ. XVIII სურ. 1)

მძივი-კირქვის, მოხატულია სხვადასხვა ფერებით, ე.წ. ხალიჩისებური, მოზაიკური (ტაბ. XVIII სურ. 2)

ფირფიტა-ბრინჯაოსი, ამავე სამარხში პირველი მიცვალებულის კუთვნილის მსგავსი, უფრო დაზიანებული (ტაბ.XVIII სურ. 6)

მშვილდსაკინძი-ვერცხლის, შერჩენილი აქვს რკინის ჟანგი (ტაბ.XVIII სურ. 4)

თიხის ჭურჭლის (დოქის) ფრაგმენტები, მოწითალო-მოაგურისფრო, დამზადებულია ქარსმინარევიანი უხეში თიხისაგან. ძლიერ დაზიანებული. შემორჩენილი აქვს მხოლოდ ძირის, გვერდების ყელისა და ოვალურგანივკვეთიანი ყურის რამდენიმე ფრაგმენტი. აღდგენა არ ხერხდება. კეცის სისქე- 7 მმ (ტაბ. XVIII სურ. 3)

სამარხი 7 აღმოჩნდა **C-4** კვ-ში (ტაბ. I). მიწის ზედაპირიდან 20 სმ-ის სიღრმეზე. მიცვალებული დაკრძალული იყო მოკრუნჩხულ პოზაში, მარცხენა გვერდზე, თავით სამხრეთ-დასავლეთისაკენ

სამარხის სიგრძე 60 სმ სიგანე 40 სმ (ტაბ. V სურ. 1)

სამარხის კიდეში ეყარა თიხის ჭურჭლის (დოქის) ნატეხები, რომლებიც დამზადებულია ქარსმინარევიანი, უხეში თიხისაგან. ნივთი ისეა დაზიანებული, რომ მისი აღდგენა თითქმის არ მოხერხდება. შემორჩენილია მხოლოდ ძირ-გვერდების, გვერდისა და ბრტყელგანივკვეთიანი ყურის რამდენიმე ფრაგმენტი. ცალკეულ ნატეხებს ამჩნევიათ მოშავო ფერის კვალი.

კეცის სისქე 7 მმ (ტაბ. XIX სურ. 1)

სამარხი 8 მდებარეობდა **B**4 კვ-ში (ტაბ. I). მიწის ზედაპირიდან 25 სმ-ის სიღრმეზე. მიცვალებულის ჩონჩხი შემორჩენილი იყო ფრაგმენტულად, რის გამოც არ მოხერხდა დამხრობისა და დაკრძალვის პოზის განსაზღვრა. სამარხში ჩონჩხის განლაგების სიგრძე 60 სმ. სიგანე 40 სმ (ტაბ. V სურ 2)

სამარხში აღმოჩნდა; შუბისპირი რკინის, მასრაშეკრული, მასრის კიდეში გაფართოებული სამკუთხა ფოთლისებურად. სიგრძე 30 სმ მასრის **d** 3 სმ (ტაბ.XIX სურ. 2)

სამარხი 9 მდებარეობდა **E**5 კვ-ში (ტაბ. I). მიწის ზედაპირიდან 20 სმ-ის სიღრმეზე. მიცვალებული დაკრძალული იყო მოკრუნჩხულ პოზაში, მარჯვენა გვერდზე, თავით სამხრეთ-დასავლეთისაკენ.

სამარხის სიგრძე 110 სმ სიგანე 60 სმ (ტაბ. VI სურ. 1)

მიცვალებულს აღმოაჩნდა;

ბეჭედი-ბრინჯაოსი, დამზადებულია მრგვალგანივკვეთიანი ღეროსაგან. როგორც ჩანს, იგი თვალბუდიანი უნდა ყოფილიყო, მაგრამ არც ბუდე და არც თვალი არ შემორჩენილა (ტაბ. XX სურ. 1)

მძივი კირქვის (ტაბ. XX სურ. 2)

დოქი-მოწითალო-მოაგურისფრო, დამზადებულია ქარსმინარევიანი თიხისაგან. ძლიერ დაზიანებულია, შემორჩენილია მხოლოდ ძირის, გვერდებისა და მრგვალგანივკვეთიანი ყურის ფრაგმენტები.

კეცის სისქე 8 მმ (ტაბ. XX სურ. 3)

სამარხი 10 აღმოჩნდა **D**5 კვ-ში (ტაბ. I). მიწის ზედაპირიდან 20 სმ-ის სიღრმეზე. სამარხი მთლიანად დანგრეული იყო. მიცვალებულის ძვლები იმდენად ფრაგმენტულად იყო შემორჩენილი, რომ ვერ მოხერხდა დაკრძალვის პოზისა და დამხრობის დადგენა.

სამარხეული ინვენტარიდან გადარჩენილი იყო მხოლოდ თიხის ჭურჭლის (დოქის) ნატეხები, რომლებიც დამზადებულია მოაგურისფრო უხეში თიხისაგან, ქარსის მინარევებით. გადარჩენილია მხოლოდ ძირ-გვერდებისა და ყურის რამდენიმე ნატეხი.

კეცის სისქე 1 სმ (ტაბ. XXI)

სამარხი 11 მდებარეობდა G-7 კვ-ში (ტაბ. I). მიწის ზედაპირიდან 25 სმ-ის სიღრმეზე მიცვალებული დაკრძალული იყო ნახევრადმოკრუნჩხულ პოზაში, მარცხენა გვერდზე, თავით სამხრეთ-დასავლეთისაკენ.

სამარხის სიგრძე 90 სმ სიგანე 60 სმ (ტაბ. VI სურ. 2)

მიცვალებულის გულ-მკერდისა და მუცლის არეში აღმოჩნდა:

დანა — რკინის, სწორპირიანი და ოვალურადმორკალულძირიანი, კარგად გამოკვეთილი სატარე ყუნწით. სიგრძე 11 სმ. (ტაბ. XXII სურ.2)

მშვილდსაკინძი ბრინჯაოსი, შერჩენილი აქვს რკინის ჟანგი. შესაკრავი ენა აკლია (ტაბ. XXII სურ. 1)

აბზინდა რკინის, ნახევრადგატეხილი, დამზადებულია ოვალურ განივკვეთიანი ღეროსაგან (ტაბ. XXII სურ. 3)

აბზინდა რკინის, დამზადებულია ოვალურგანივკვეთიანი ღეროსაგან. შერჩენილი აქვს შესაკრავი ენა (ტაბ. XXII სურ. 4)

სამარხი 12 გაითხარა F7 კვ-ში (ტაბ. I) მიწის ზედაპირიდან 20 სმ-ის სიღრმეზე. მიცვალებული დაკრძალული იყო მოკრუნჩხულ პოზაში, მარჯვენა გვერდზე, თავით სამხრეთ-დასავლეთისაკენ.

სამარხის სიგრძე 90 სმ. სიგანე 70 სმ (ტაბ. VII სურ. 1)

მიცვალებულის თავთან და ყელის არეში დაფიქსირდა:

მძივები: მინის, მინისებური პასტის, კირქვის, სარდიონის, გიშრის (ტაბ.XXIII სურ. 1)

საყურე ბრინჯაოსი, თავშემსხვილებული, დამზადებულია ოვალური ღეროსგან ორი ცალი. d 2 სმ. (ტაბ. XXIII სურ.2) მშვილდსაკინძი ბრინჯაოსი დამზადებულია მრგვალგანივკვეთიანი ღეროსაგან. ღერო დაწახნაგებულია, აკლია შესაკრავი ენა (ტაბ.XXIII სურ. 3)

მიცვალებულის ფეხებთან იდგა:

თიხის დოქი: მოწითალო-მოაგურისფრო, პირნაკლული, შემორჩენილი არ არის ყურიც. დოქი თანაბარდაქანებულ მხრებიანი, სწორპირიანი და ბრტყელძირიანია. დამზადებულია ქარსმინარევიანი თიხისაგან.

შემორჩენილი h 14 სმ. ძირის d 11 სმ. კეცის სისქე 6 მმ. (ტაბ.XXIII სურ. 4)

სამარხი 13 აღმოჩნდა E7 კვ-ში (ტაბ.I). მიწის ზედაპირიდან 20 სმ-ის სიღრმეზე. მიცვალებული დაკრძალული იყო მოკრუნჩხულ პოზაში, მარჯვენა გვერდზე, თავით სამხრეთ-დასავლეთისაკენ.

სამარხის სიგრძე 80 სმ სიგანე 60 სმ. (ტაბ.VII სურ. 2)

სამარხში დაფიქსირდა:

შუბისპირი რკინის, №8 სამარხში აღმოჩენილის ანალოგიური. სიგრძე 25 სმ. (ტაბ. XXIV სურ. 1)

სამაჯური ბრინჯაოსი, დამზადებულია მრგვალგანივკვეთიანი ღეროსაგან. თავი შეკრულია სპირალისებურად. d 6 სმ. (ტაბ.XXIV სურ. 3)

დოქი თიხის, დამზადებულია ქარსმინარევიანი უხეში თიხისაგან. ფრაგმენტულია. შემორჩენილია მხოლოდ ბრტყელგანივკვეთიანი ყურის პირის გვირგვინისა და გვერდის რამდენიმე ფრაგმენტი.

კეცის სისქე 6 მმ (ტაბ. XXIV სურ. 2)

სამარხი 14 აღმოჩნდა **F8**-კვ-ში (ტაბ. I). მიწის ზედაპირიდან 20 სმ-ის სიღრმეზე. მიცვალებული დაკრძალული იყო ნახევრადმოკრუნჩხულ პოზაში, მარჯვენა გვერდზე, თავით სამხრეთ-დასავლეთისაკენ.

სამარხის სიგრძე 120 სმ. სიგანე 70 სმ. (ტაბ. VIII სურ. 1)

მიცვალებულის თავთან იდგა;

დოქი თიხის, მოწითალო-მოაგურისფრო, ორყურა. დოქს აქვს ვიწრო, მრგვალი პირი, დაბალი, სწორი ყელი, ოდნავ დაქანებული მხრები, შედარებით გამობერილი მუცელი და ბრტყელი ძირი. ოვალურგანივკვეთიანი ყურები მიზერწილი აქვს მხარსა და პირ-ყელ'ზე.

h 16 სმ. პირის **d** 5 სმ. ძირის **d** 9 სმ. კეცის სისქე 5 მმ. დამზადებულია ქარსმინარევიანი, უხეში თიხისაგან. (ტაბ. XXV)

სახის არეში იდო რკინის შუბისპირი, რომელიც ანალოგიურია №8 და № 13 სამარხებში აღმოჩენილი ცალებისა. სიგრძე 30 სმ. (ტაბ. XXVI სურ. 2)

მიცვალებულის ყელის არეში დაფიქსირდა ვერცხლის საკიდი, რომლის თავი დახვეულია სპირალისებურად. შემორჩენილია ღერო, რომელზეც აცმულია ვერცხლის ვარდული (ტაბ. XXVI სურ. 4)

მარცხენა ხელის არეში აღმოჩნდა ბეჭედი, ვერცხლის, დამზადებულია ოვალურგანივკვეთიანი ღეროსაგან. ბეჭედს აკლია ბუდე, რომელშიც ჩასმული უნდა ყოფილიყო ინტალიო. ინტალიო ამოკაწრულია სარდიონის ქვაზე, ქვა დაწახნაგებულია და დაკუთხული. ამოკვეთილია ფანტასტიკური ცხოველის გამოსახულება. ინტალიოს სიგრძე 6 მმ, სიგანე 4 მმ (ტაბ. XXVI სურ. 5)

მიცვალებულს მარცხენა ფეხზე მიბმული ჰქონდა რკინის სატევარი. მას კარგად გამოკვეთილი პირი, ქედი და სატარე აქვს. სიგრძე 25 სმ. სიგანე 4 სმ. ტარის სიგრძე 5 სმ (ტაბ. XXVI სურ. 1)

სამარხის მთელ სიგრძეზე იდო რკინის მახვილი, რომელიც ბრტყელი და წვერისკენ თანდათან შევიწროებულია, ორლესულია. პირი ჭრილში რომბულია. ვადაზე ჩამოცმული აქვს თავმომრგვალებული, გამოშვერილი მხრები. სატარე ყუნწი ვიწროა და ბრტყელი. სიგრძე 65 სმ. სიგანე 5 სმ. ტარის სიგრძე 10 სმ. (ტაბ. XXVI სურ. 3)

სამარხი 15 გაითხარა **G-1** კვ-ში (ტაბ. I). მიწის ზედაპირიდან 25 სმ-ის სიღრმეზე. მიცვალებული დაკრძალული იყო ნახევრადმოკრუნჩხულ პოზაში, მარცხენა გვერდზე, თავით სამხრეთ-დასავლეთისაკენ.

სამარხის სიგრძე 70 სმ. სიგანე 55 სმ.

სამარხში აღმოჩნდა;

საკიდი ბრინჯაოსი, ფოთლისებური ფორმის, შესაკრავი რკალითა და მკვეთრი წაწვეტებული ბოლოთი. იგი ანალოგიურია №6 სამარხში მიკვლეული ცალისა. **h**- 5 სმ. (ტაბ. XXII სურ. 5)

ჯამი თიხის, მორუხო-მოაგურისფრო, კარგად გამოკვეთილი ქუსლითა და პირით. ჯამი ფრაგმენტულია. შემორჩენილია მხოლოდ ძირ-გვერდისა და პირის ნატეხები. დამზადებულია ქარსმინარევიანი, უხეში თიხისაგან.

აღმოჩნდა მიცვალებულის თავთან. კეცის სისქე 6 მმ. (ტაბ. XXII სურ.6)

სამარხების გარდა ოქონის გორის ჩრდილო-აღმოსავლეთ ფერდზე, აღმოჩნდა მიწაში ვერტიკალურად ჩადგმული ორი ქვევრი. ერთი მდებარეობდა A3 კვადრატში, №№ 4, 5, 6, 7, 8 სამარხების სიახლოვეს. ქვევრი შემორჩენილი იყო სანახევროდ. ზედა ნაწილი (პირი და ყელი) არ დაფიქსირებულა. ასევე სანახევროდ იყო გადარჩენილი F 10 კვადრატში აღმოჩენილი ქვევრიც (ტაბ. VIII სურ. 2). აღსანიშნავია, რომ სამაროვნის ამ ნაწილში სამარხები საერთოდ არ დაფიქსირებულა, ამიტომ ერთი შეხედვით, მოულოდნელიც იყო აქ ამგვარი ქვევრის აღმოჩენა. მაგრამ როგორც ჩანს, (და ეს ქვევრის აღმოჩენის ფაქტმაც დაადასტურა), აქაც უნდა არსებულიყო სამარხები. უბრალოდ, მათ ჩვენამდე ვერ მოაღწიეს. საფიქრებელია, ნაწილი შემთხვევითი აღმოჩენების "წყალობით" გაიძარცვა და განადგურდა, ხოლო ნაწილიც ჩარეცხილი იქნა გორის თხემიდან ჩამომდინარე ნალექების შედეგად. მით უმეტეს, რომ ოქონის გორის ჩრდილო-აღმოსავლეთი ფერდი სამაროვნის მონაკვეთზე საკმაოდ დამრეცია და ეს ვითარება, ცხადია, სასიკეთოდ არ იმოქმედებდა აქ არსებულ სამარხთა ბედზე.

დაკრძალვის წესი ოქონის გორის სამაროვანზე

ჩხარის ოქონის გორის სამაროვანზე დადასტურებულია მხოლოდ ორმოსამარხები. ჩვენ მიერ გათხრილი და შემთხვევით აღმოჩენილი სამარხიც მიეკუთვნება ორმოსამარხთა ტიპს. იმის გამო, რომ სამარხები საკმაოდ ახლოს იყო განლაგებული მიწის ზედაპირიდან (20-25 სმ-ის სიღრმეზე), თითქმის შეუძლებელია დადგენა, როგორ გამოიყურებოდა სამარხთა ზედა ნაწილი, კერძოდ, ჰქონდა თუ არა ქვაყრილები და სხვა. როგორც მეოთხე სამარხის აღმოჩენის ფაქტმა დაგვანახა, შესაძლოა ჩხარის სამაროვანზე ქვებით შემოზღუდული სამარხებიც არსებულიყო, მაგრამ ეს მოსაზრება მხოლოდ ვარაუდის სფეროში რჩება, რადგან ფაქტია, რომ ტიპიური, მარტივი ორმოსამარხების გარდა სხვა სახის სამარხები არ მოკვლეულა. ვფიქრობ, მეოთხე სამარხი მაინც გამონაკლისი უნდა იყოს და ვვარაუდობ, რომ იგი ქვებით შემოსაზღვრული უნდა ყოფილიყო. ყოველშემთხვევაში, ასეთი ფიქრის საშუალებას იძლევა სამარხის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში შემორჩენილი ქვები.

რაც შეეხება მიცვალებულთა დაკრძალვის წესს, როგორც უძველ ნაჩვენები იყო, სამაროვანზე მოკრუნჩხული ან ნახევრადმოკრუნჩხული პოზა დასტურდება. როგორც ცნობილია, მიცვალებულთა მოკრუნჩხულ მდგომარეობაში დაკრძალვა საქართველოს ტერიტორიაზე არსებობს უძველესი დროიდან ქრისტიანობის ოფიციალურ რელიგიად დამკვიდრებამდე და ხოგ შემთხვევაში მის შერეც. მაგრამ გვიან ანტიკურ ხანაში ამ წესს თანდათან ბზარი უჩნდება, რაც გამოიხატება, როგორც ჩანს, ახალი იდეოლოგიის (ქრისტიანული) შემოტანა-დამკვიდრებით. კერძოდ, არმაზისხევის სამაროვანზე უძველ II საუკუნეში ჩნდება მიცვალებულთა გაშოტილ პოზაში. გულადმა დაკრძალვის შემთხვევები (2). მაგრამ ასეთი შემთხვევები მაინც ერთეულია და ქრისტიანობის გაბატონებამდე საგრძნობლად სჭარბობს მოკრუნჩხულად დაკრძალვის ფაქტები (3). ასეთ სიტუაციას ადასტურებს როგორც დასავლეთ, ასევე აღმოსავლეთ საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები (კლდეეთი, ახალი ჟინვალი, არაგვისპირი, ერწო, ზღუდერი, სამთავრო და სხვა). მაგრამ ამავე სამარეოვნების მონაცემებიდან გამომდინარე, ერთი რამის მტკიცება დაბეჯითებით შეიძლება, რომ მკვეთრად მოკრუნჩხული პოზა აღარ არის ისეთი მყარი, როგორც წინა პერიოდებში და მის გვერდით არსებობს ისეთი სამარხებიც, სადაც მიცვალებულები ნახევრადმოკრუნჩხულ მდგომარეობაში არიან დაკრძალული. როგორც ირკვევა, მიცვალებულთა ნახევრად მოკრუნჩხულ პოზაში დაკრძალვა გვიან ანტიკურ ხანაში შედარებით სჭარბობს მკვეთრად მოკრუნჩხული დაკრძალვის შემთხვევებს. ანალოგიური სიტუაცია ფიქსირდება ჩხარის სამაროვანზეც. ექსპედიციის

მიერ გათხრილი 15 სამარხიდან რვაში სწორედ ნახევრად მოკრუნჩხული პოზა იქნა დადასტურებული. (სამარხები №№ 1,2, 3, 4, 6, 11, 14, 15). აქვე ისიც აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ სამარხში მიცვალებულთა ძვლები საკმაოდ უსისტემოდ ეყარა და დაკრძალვის პოზის დადგენა თითქმის ან საერთოდ ვერ მოხერხდა. ასეთებია სამარხები №8 და №10. ხოლო დანარჩენ სამარხებში (№№ 5, 7, 9, 12, 13) დაფიქსირებულია მიცვალებულთა შედარებით ხელ-ფეხ მოკეცილი პოზა, თუმცა იგივე სამარხები გვიჩვენებენ, რომ ამ პერიოდში მიცვალებულებს თითქმის აღარ კრძალავდნენ ისეთ მკვეთრად მოკრუნჩხულ მდგომარეობაში, როგორც შედარებით ადრეულ ხანაში.

ჩხარის თითქმის ყველა სამარხში (№№ 8 და 10 სამარხთა გარდა, სადაც დაკრძალვის პოზა და დამხრობა ვერ დადგინდა) სჭარბობს სამხრეთ-დასავლეთის დამხრობა. გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ მეოთხე სამარხი, რომელშიც მოცვალებული დაკრძალული იყო სამხრეთის დამხრობით.

ჩხარის ოქონის გორის სამარხებში დაკრძალულია თითო მიცვალებული აქაც მხოლოდ ერთი გამონაკლისი გვაქვს, სამარხი №6, სადაც დასტურდება წყვილადი დაკრძალვის ფაქტი. საერთოდ, წყვილადი დაკრძალვა გვიან ანტიკური ხანის საქართველოს სამაროვნებზე აღარ არის ისეთი პოპულარული, როგორც წინამორბედ პერიოდებში და ერთეული შემთხვევების გარდა ყველგან თითქმის ინდივიდუალურ სამარხებს ვხდებით.

მიცვალებულთა დამხრობის ერთგვაროვნება სულაც არ არის სამარხებში ინვენტარის შემცველობის ფაქტორის მაჩვენებელი და განმსაზღვრელი. საერთოდ, ჩხარის სამარხები არ გამოირჩევა ინვენტარის სიმრავლით. ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენს სამარხები 0, 4, 6 და 14, ხოლო დანარჩენ სამარხებში მიცვალებულებს ჩატანებული აქვთ თითო-ოროლა ნივთი, რაც, ალბათ, უნდა აიხსნას მათი სოციალური მდგომარეობით. თუმცა, ოქონის გორაზე სრულიად უინვენტარო სამარხიც მოიპოვება (№5), მაგრამ არავითარი საფუძველი იმის ფიქრისა, რომ სამარხი გაძარცვული ან დანგრეულია, არ არსებობს, რადგან მიცვალებულის ძვლები საკმაოდ კარგ მდგომარეობაში იყო დაცული და არც სამარხის პოზა იყო ხელშეხებული. მაშინ როდესაც, როგორც უკვე აღინიშნა, ოქონის გორაზე დავაფიქსირეთ ორი პირწმინდად გაძარცვული სამარხიც, სადაც ვერ მივაკვლიეთ არათუ რაიმე ნივთს, ვერ გავიგეთ მიცვალებულთა დაკრძალვის წესიც, იმდენად იყო ისინი დაზიანებული.

სამარხეული ინვენტარის ჩატანების მხრივაც არ არსებობს რაიმე კანონზომიერება, ანუ ისეთი ნივთები, რომლებიც ყველა სამარხისთვის აუცილებელ ატრიბუტს წარმოადგენს. როგორც ჩანს, მიცვალებულთათვის საიმქვეყნიოდ გასატანებელი ინვენტარის ასორტიმენტი, თვით მის მფლობელთა ქონებრივ შესაძლებლობებზე იყო დამოკიდებული. ასე რომ, რამდენიმე გამონაკლისის გარდა, ჩხარის სამარხები ინვენტარის

შემცველობის თვალსაზრისით უაღრესად მწირ შთაბეჭდილებას ტოვებს.

სამაროვანზე დადასტურებულია საინტერესო წესი, რაც მდგომარეობს იმაში, რომ სამარხთა სიახლოვეს ან მათგან მოშორებით ჩადგმულია ვერტიკალური ქვევრები.

მიცვალებულთათვის ქვევრების ჩატანების ფაქტები საქართველოს რამდენიმე სამაროვანზე დასტურდება და როგორც მათი აღმოჩენების ქრონოლოგია ცხადყოფს, აღნიშნული ჩვეულება საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე არსებობს. მაგალითად, ბორჯომის ხეობაში (4), ნოქალაქევსა (5) და ვანში (6) აღმოჩენილი მიწაში ვერტიკალურად ჩადგმული ქვევრები მიეკუთვნება ელინისტურ ხანას.

აღნიშნული წესი არსებობას განაგრძობს I საუკუნეშიც (ულიანოვკა (7), თელავი, ნასტაკისი (8) და სხვა). შედარებით მოგვიანო პერიოდის (III-IV საუკუნის) ანალოგიური სიტუაცია ჩვენ მიერაც იქნა დაფიქსირებული რგანის სამაროვანზე (9).

როგორც გ.ნარიმანიშვილი აღნიშნავს, ვერტიკალურად ჩადგმული ქვევრების ზედა ნაწილი რჩებოდა მიწის ზევით (10). ალბათ, ამ ვითარების გამო, ხშირია შემთხვევები, როცა ქვევრების მხოლოდ ნახევარი კორპუსია გადარჩენილი. ასეა ჩხარის სამაროვანზეც, სადაც ქვევრები შემონახული იყო სანახევროდ. ქვევრების ჩატანების მსგავსი ჩვეულება საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში და საკმაოდ დიდ ტერიტორიაზე არსებობს. იგი გავრცელებულია მთელს საქართველოში ლაგოდეხიდან ნოქალაქევამდე, ძვ.წ. III-ახ.წ. IV საუკუნეებში. როგორც არქეოლოგიური აღმოჩენები ადასტურებენ, სამაროვნებზე ქვევრები შეიძლება შეგვხვდეს სხვადასხვა ვარიანტით; როდესაც ვერტიკალურად ჩადგმული ერთი ქვევრი ეკუთვნის ერთ სამარხს (ნოქალაქევი, ნასტაკისი), ერთი ქვევრი ეკუთვნის სამარხთა ჯგუფს (მზეთამზე, ნასტაკისი), ქვევრების გარკვეული რაოდენობა ეკუთვნის სამარხთა ჯგუფს (ვანი, თელავი) და სხვა (11). ჩხარის მაგალითით თუ ვიმსჯელებთ, ერთი კონკრეტული ქვევრი ეკუთვნოდა სამარხთა გარკვეულ ჯგუფს. მაგ. □3 კვ-ში მიკვლეული ქვევრი დაკავშირებული უნდა ყოფილიყო 0,4,5,,6,7,8 სამარხებთან. რაც შეეხება □ 10 კვ-ში აღმოჩენილ ქვევრს, მისი მიკუთვნება სამარხთა კონკრეტული ჯგუფისადმი, ამ მონაკვეთში სამარხთა არარსებობის გამო, თითქმის შეუძლებელია.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ მიცვალებულთათვის ქვევრების ვერტიკალურად ჩატანება დაკავშირებული იყო გარკვეულ რწმენა-წარმოდგენებთან და რიტუალთან, რაც გამოიხატებოდა მიცვალებულთა საგზლით მომარაგებაში. როგორც ჩანს, დაკრძალვის შემდეგ ახლობლები პერიოდულად დადიოდნენ საფლავზე და ასრულებდნენ გარკვეულ რიტუალს. კერძოდ, მიცვალებულის სულის მოსახსენიებლად ქვევრში ალაგებდნენ საკვებსა და სასმელს (12).

სავსებით ვიზიარებ აღნიშნულ მოსაზრებას და მივიჩნევ, რომ ჩხარის

ოქონის გორის სამაროვანზე აღმოჩენილ ვერტიკალურ ქვევრებსაც ანალოგიური საღაპო დანიშნულება უნდა ჰქონოდათ და ეს გარემოება კიდევ ერთხელ ადასტურებს გვიან ანტიკურ ხანაში დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ერთიან რელიგიურ-კულტურულ თვალთახედვას.

მიცვალებულთა დაკრძალვის წესის მოკლე განხილვის შემდეგ შევეხები სამაროვანზე მოპოვებული არქეოლოგიური მასალის ტიპოლოგიურ დახასიათებას.

კერამიკა

ჩხარის სამაროვნის კომპლექსები მეტად ღარიბია თიხის ჭურჭლის ასორტიმენტით. კერამიკული ნაწარმი მიკვლეულია №№ 0, 1, 2, 7, 9, 10, 12, 13, 14, 15 სამარხებში. შედარებით მრავალფეროვანი ინვენტარის შემცველ მეოთხე სამარხში თუნის ნაწარმი არ დადასტურებულა. მეექვსე სამარხშიც, რომელიც ასევე განირჩევა სხვა სამარხებისგან ინვენტარის მხრივ, თიხის ჭურჭელი აღმოაჩნდა მხოლოდ მარცხნივ (შედარებით ღარიბ) მიცვალებულს. კერამიკული ნაწარმის ჩატანების მხრივ ყოველგვარი **კანონზომიერებაა** დარღვეული. ისინი გვხვდება მიცვალებულის თავის არეში (სამარხი №№ 2, 14, 15), მუცელთან (სამარხი №13) და ფეხებთან (სამარხი №№ 1, 6, 7, 9, 12). სამწუხაროდ, იმის გამო, რომ მეათე სამარხი დანგრეული იყო, გაურკვეველი დარჩა საკითხი, თუ რა ადგილას ჰქონდა მიცვალებულს ჩაყოლებული თიხის ჭურჭელი. უცნობია, აგრეთვე, 0 სამარხის დოქის ბედიც. როგორც უკვე აღინიშნა, ეს სამარხი ექსპედიციას არ გაუთხრია, ამიტომ სამარხში ნივთების განლაგების თაობაზე სათანადო ინფორმაციის ვერ მოვიპოვეთ. ამრიგად, ჩხარის ოქონის გორაზე სულ მოპოვებულია კერამიკული ნაწარმის II ერთეული. როგორც ითქვა, მათი ასორტიმენტი ძალზე შეზღუდულია და წარმოდგენილია მხოლოდ დოქებისა და ჯამის სახით. აქვე კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ დოქების დიდი ნაწილი ფრაგმენტულია და ისეა დაშლილი, არ ხერხდება მათი აღდგენა. გამონაკლისს წარმოადგენს 0 სამარხის დოქი, რომელიც ერთადერთი მთელი ჭურჭელია ჩხარის სამაროვანზე.

თიხის ჭურჭელი დამზადებულია თითქმის განულექავი ან ცუდად განლექილი უხეში თიხისაგან. თიხა მარცლოვანია და ხასიათდება ქარსის მაღალი პროცენტული შემცველობით. დამაკმაყოფილებელი არ არის არც გამოწვის ტექნოლოგიური დონე. გამოწვის ხარისხი სუსტია, რის გამოც ჭურჭლები ადვილად შლადი და აქედან გამომდინარე, აღდგენის უუნაროა. თიხის ჭურჭლები ძირითადად მოწითალო-მოაგურისფროა, ზოგჯერ გაშავებულიც. კეცი უმეტესწილად მოყავისფრო ან მოწითალოა, ნაწარმის უმეტესობა სქელკეციანია (7-10 მმ).

ჩამოთვლილი ნიშან-თვისებები ზოგადად ახასიათებს გვიან ანტიკური ხანის დასავლეთ საქართველოს თუნის ნაწარმს (13). ანალოგიური ვითარებაა კლდეეთის სამაროვნის თიხის მასალაშიც, რომელიც ზუსტად იმეორებს ჩხარის სამარხების თიხის ჭურჭლების თვისებებს (მაღალი ქარსიანობა, გამოწვის დაბალი დონე და სხვა) (14). ჩხარის მეზობლად გათხრილ ძევრის სამარხებშიც ვარდისფრად და აგურისფრად გამომწვარი კერამიკული ნიმუშები გვხვდება. აღსანიშნავია, რომ როგორც ჩხარში, ასევე ძევრში თუნის ნაწარმი დოქებით არის წარმოდგენილი და ისეთივე მარცვლოვანი

და ქარსმინარევიანია, როგორც ჩხარის ცალები. თუმცა, განსხვავება მაინც შეინიშნება და ეს ვლინდება უპირველესად იმაში, რომ ძევრის ორმოსამარხების ორი დოქი დამზადებულია კარგად განლექილი თიხისაგან და შედარებით პრიალა ზედაპირიანია, მაშინ როდესაც ჩხარის დოქების უკლებლივ ყველა ეგზემპლარის ზედაპირი ხაოიანი და უხეშია. როგორც რ. ფუთურიძე შენიშნავს, ეს გარემოება შესაძლებელია ძევრის ორმოსამარხების შედარებითი სიახლის ნიშანი იყოს. (15). ძევრში ორმოსამარხების გარდა აღმოჩენილი იყო ქვევრსამარხებიც (16). კლდეეთის კერამიკას ჰგავს უფრო კრემაციული ქვევრსამარხის ჭურჭელი (ორი დოქი და ფიალა)(17). ქვევრსამარხები ახ.წ. II საუკუნით თარიღდება (18).

არ არის გამორიცხული, რომ ჩხარის სამაროვნის თანადროული სწორედ ძევრის ქვევრსამარხები იყოს და არა ორმოსამარხები, რომლებიც შესაძლოა, შედარებით მოგვიანო პერიოდს მიეკუთვნებოდეს. ყოველშემთხვევაში, კლდეეთისა და ჩხარის აღმოჩენების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, II III საუკუნისათვის (განსაკუთრებით II საუკუნისათვის) კარგად განლექილი თიხისაგან დამზადებული და წითლადნაპრიალები ნიმუშები თითქმის არ გვხვდება. იშვიათია ვარდისფერკეციანი ეგზემპლარებიც, ხოლო ქარსიანი და მორუხო კეცი განსაკუთრებით დამახასიათებელია II საუკუნის ნაწარმისათვის.

როგორც აღვნიშნე, ჩხარის თიხის ჭურჭლები უხეში თიხისაგან დაუმზადებიათ. ამ მხრივ გამონაკლისი შეიძლება იყოს მეცხრე სამარხის დოქი, რომლის თიხაც, მართალია, ასევე ქარსიანია, მაგრამ მისი გამოწვის დონე თითქმის განირჩევა სხვა ცალებისაგან და შედარებით დამაკმაყოფილებელია.

მეცხრე სამარხში აღმოჩენილი დოქი კორპუსით ძლიერ ჩამოჰგავს ბანძაში მიკვლეულ ეგზემპლარს (19), მაგრამ სრულ ანალოგიურობაზე საუბარი ალბათ, გაჭირდება, რადგან მეცხრე სამარხის დოქის პირის გვირგვინი არ გაგვაჩნია და, ამდენად, არ ვიცით, ამ მხრივაც ჰგავს თუ არა ერთმანეთს ეს ნიმუშები. ალბათ, ბანძას ანალოგიური უნდა იყოს მეათე სამარხის ცალიც, თუმცა, ამ შემთხვევაშიც მსგავსება მხოლოდ გარეგნულ ფორმაში, კორპუსის აგებულებაში გამოიხატება, რადგან არც მეათე სამარხის დოქის პირის შესახებ გვაქვს სრული წარმოდგენა.

პირის გვირგვინის ფორმის თვალსაზრისით კლდეეთში ექსპედიციამდე აღმოჩენილი დოქების მსგავსი ჩანს, ჩხარის მეცამეტე სამარხში მიკვლეული ცალი (ტაბ. XIII სურ. 2). ძირითად მსგავსებას სამტუჩა პირი განსაზღვრავს. როგორც გ.ლომთათიძე შენიშნავს, კლდეეთის ანალოგიური ჭურჭლები შესაძლებელია ლითონის ნივთების გავლენითა და მიბაძვით იყოს დამზადებული (20). მსგავსი ვარაუდი მიუღებელი უნდა იყოს ჩხარის დოქისათვის. მის სამტუჩა პირს ამკობს კოპი, რომელიც დაძერწილია ე.წ. შუა ტუჩზე, რაც არ ახასიათებს ლითონის ნივთებს და ცხადი ხდება, რომ

იგი ძველი ტრადიციების მიბაძვით არის დამზადებული. მსგავსი ვითარებაა, როგორც ჩანს, 0 სამარხში დადასტურებული დოქის შემთხვევაშიც. მართალია, მას პირი ჩამოტეხილი აქვს, მაგრამ შერჩენილი ფორმა საშუალებას იძლევა ვიფიქროთ, რომ ისიც სამტუჩა უნდა ყოფილიყო. ხოლო ამ დოქის ყურის შემკობა კოპისებური დანაძერწით ასევე ძველი ტრადიციების გავლენა უნდა იყოს, რადგან მსგავსი ყურები (ძირითადა ორ ან ერთ კოპიანი) წინამორბედ ხანაში საკმაოდ ბევრია.

სამაროვანზე მოპოვებულია ერთი ორყურა დოქის ნიმუშიც (სამარხი № 14), რომლის ზუსტი ანალოგიებიც არც კლდეეთისა და არც დასავლეთ საქართველოს სხვა ძეგლებზე არ ფიქსირდება.

მეთხუთმეტე სამარხში აღმოჩენილი ქუსლიანი ჯამის (ტაბ. XXII სურ. 6) ზუსტი ასლი ძევრში, კრემაციულ ქვევრსამარხშია დაფიქსირებული (21). მასვე საკმაოდ ჰგავს კლდეეთური ჯამიც (22). სამივე ნახსენები ნიმუშისათვის დამახასიათებელია შავად გამომწვარი, მარცვლოვანი, ქარსმინარევიანი თიხა და კარგად გამოკვეთილი ქუსლი. აქვე უნდა ითქვას, რომ გვიან ანტიკური ხანის დასავლეთ საქართველოს ძეგლებზე ჯამების აღმოჩენის სულ ერთეული შემთხვევებია დაფიქსირებული და დოქებთან შედარებით კერამიკის ამ სახეობას აშკარად მოკრძალებული ადგილი უკავია.

ასეთია ჩხარის სამაროვანზე დადასტურებული თიხის ჭურჭლების მოკლე დახასიათება. როგორც ვნახეთ, მათი სიმწირე ცალკეული ჯგუფებისა თუ ტიპების გამოყოფის საშუალებას არ იძლევა. საერთოდ, დასავლეთ საქართველოს II-III საუკუნეების თუნის ნაწარმი არ არის მრავალფეროვანი და ფორმების დახვეწილობისა თუ ტექნოლოგიის თვალსაზრისით ბევრად ჩამორჩება აღმოსავლეთ საქართველოში ამ დროს არსებულ სიტუაციას. გვიან ანტიკური ხანის აღმოსავლეთ საქართველოს სამაროვნების გათხრებისას მოპოვებული მასალის უდიდეს ნაწილს შეადგენს სწორედ კერამიკა (სამთავრო, ერწო, ახალი ჟინვალი და სხვა), მაშინ როდესაც, დასავლეთ საქართველოში თუნის ნაწარმს სხვა მასალასთან (ბრინჯაო, რკინა) შედარებით მოკრძალებული ადგილი უკავია. საფიქრებელია, რომ ამ ვითარებაში გარკვეული როლი შეასრულა მინისა და ლითონის ჭურჭლების მხატვრული დარგების განვითარებამ, რომელმაც ძლიერ, და ალბათ, გადამწყვეტად იმოქმედა კერამიკის მხატვრული ღირსებებისა და ფორმების მრავალფეროვნებისა და დახვეწილობის დაცემაზე. როგორც ჩანს, მოსახლეობას განუვითარდა მოთხოვნილება მინისა და ლითონის ჭურჭლებზე და აღნიშნული მასალისაგან დამზადებულ ნივთებს უფრო ეტანებოდნენ და მათი მხატვრული ღირსების გაზრდაზეც უფრო ფიქრობდნენ, ვიდრე კერამიკაზე. ალბათ ამიტომაც II საუკუნიდან შეინიშნება კერამიკული წარმოების ერთგვარი დაცემა და ფორმათა გაუბრალოება. სწორედ II საუკუნეში მასიურად იწყებს შემოსვლას მინისა და ლითონის

ჭურჭელიც. მაგრამ ისიც ცხადია, რომ საზოგადოების ყველა ფენას ერთნაირად ვერ მიუწვდებოდა ხელი მაღალმხატვრული,თუნდაც სადა მინისა თუ ლითონის ჭურჭლებზე და კერამიკის დარგი მაინც წამყვანი უნდა ყოფილიყო სამზარეულო თუ სასუფრე სფეროში. თუმცა, ამის მიუხედავად, ისიც ცხადად ჩანს, რომ იგი ამ დროს საკმაოდ დეგრადირებულია და ოდნავადაც ვერ უტოლდება ძვ.წ. II-I ათასწლეულებში არსებულ დონეს.როგორც ჩანს, ამ პერიოდში ხდება კერამიკულ სახელოსნოთა რიცხვის შემცირებაც, რასაც მოწმობს როგორც დამზადების დაბალი ტექნოლოგიური დონე (თითქმის იშვიათია განლექვა-დამჭლევება და სჭარბობს უხეში, მარცვლოვანი, ქარსმინარევებით მაღალი პროცენტულობის თიხა), ასევე სამარხებში მათი რაოდენობის თვალშისაცემი კლებაც. როგორც არქეოლოგიური აღმოჩენები ცხადყოფენ, თითოეულ სამარხში მეტად იშვიათია თითო ან ორი ცალის გარდა მათი აღმოჩენა. ამ ფაქტის საუკეთესო ილუსტრაცია ჩხარის სამაროვანიც არის, სადაც თითოეულ სამარხში მხოლოდ თითო ნიმუშია მიკვლეული. გვაქვს საერთოდ უკერამიკო სამარხებიც. ასე რომ, II-III საუკუნის I ნახევარი მეთუნეობის აშკარა დაცემის პერიოდია. III საუკუნის ბოლოსა და IV საუკუნეში თითქოს შედარებით სწორდება სიტუაცია (ჩნდება ახალი ფორმებიც, თიხაც ძველებურად კარგად განლექილია, უფრო სრულყოფილია ტექნოლოგიური პროცესი და სხვა), მაგრამ ცხადია, რომ II საუკუნეში კერამიკულ წარმოებაში ერთგვარ ტეხილს ვხდებით და ეს პროცესი შემდგომ კვლევა-ძიებას საჭიროებს, რადგან მოტანილი არგუმენტები ბოლომდე მაინც ვერ ხსნის საქმის რეალურ ვითარებას. მით უფრო, რომ ანალოგიური სიტუაცია აღმოსავლეთ საქართველოში თითქმის არ შეინიშნება. არადა, საყოველთაოდ ცნობილია II-III საუკუნეების ქართლში ტორევტიკისა და მინის წარმოების მაღალი დონე (საილუსტრაციოდ მარტო არმაზისხევი, ურბნისი, ზღუდერი და ერწო იკმარებდა), რომელიც არათუ ჩამოუვარდება, არამედ აღემატება კიდეც დასავლეთ საქართველოში მსგავსი დარგების განვითარებას. მაგრამ ამ ვითარებას არ გამოუწვევია მეთუნეობის ისეთი დაქვეითება იბერიაში, როგორც დასავლეთ საქართველოში. ამიტომ, როდესაც აღნიშნულ საკითხებზე ვმსჯელობთ, საჭიროა ბევრი სიფრთხილე, რადგან ეს პრობლემა ხანგრძლივ კვლევა-ძიებასა და კომპლექსურ მიდგომას მოითხოვს.

ტანსაცმელთან დაკავშირებული ნივთები

ჩხარის სამაროვანზე საკმაო რაოდენობით აღმოჩნდა ტანსაცმელთან დაკავშირებული ნივთები. მათ შორის გამოიყოფა აბზინდები, მშვილდსაკინძები, ბალთები, ქამრის ნაწილები და საკერებელი ფირფიტები.

აბზინდები და ბალთები—ისინი მიკვლეულია №№ 0, 4 და 14 კომპლექსებში. აბზინდები და ბალთები დამზადებულია როგორც რკინისგან და ბრინჯაოსგან, ასევე ვერცხლისგანაც.

რკინისგან არის დამზადებული № 11 სამარხის ცალები (ტაბ. XXII სურ. 3 და 4). ბრინჯაოსგან-0 (ტაბ. IX სურ. 1) და №4 სამარხში მიკვლეული ნიმუშები (ტაბ. XIV სურ. 3). ხოლო ვერცხლისგან დამზადებულია 0 სამარხის ბალთები (ტაბ. IX სურ. 2).

0, 4 და 11 სამარხების აბზინდები წარმოადგენს ენიან ეგზემპლარებს. ასეთი ნიმუში სულ ოთხია. ორი დამზადებულია რკინის ნახევრადწრიული რკალისაგან, ხოლო ორიც ბრინჯაოს მრგვალგანივკვეთიანი ღეროსაგან. განსაკუთრებით საინტერესოა 0 სამარხში მიკვლეული ბრინჯაოს აბზინდა, რომელსაც სხვა ცალებისაგან განსხვავებით, შემორჩენილი აქვს ქამართან დასაკავშირებელი საღვედე (ტაბ. IX სურ. 1). ანალოგიური ნიმუში ერწოში, ქუშანაანთ გორის №3 სამარხში გვხვდება (23), მსგავსი აბზინდები დასტურდება კლდეეთის მესამე და მეოთხე სამარხშიც (24).

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ენიანი აბზინდები ფართოდ იყო გავრცელებული გვიან ანტიკურ ხანაში და ამიტომაც ხშირია მათი აღმოჩენების შემთხვევები. როგორც რ.რამიშვილი აღნიშნავს, ერწოში, ქუშანაანთ გორის II სამაროვანსა და კლდეეთში იდენტური აბზინდების აღმოჩენის ფაქტები მიუთითებს ამ სამაროვანთა ქრონოლოგიურ სიახლოვეზე (25). არაფერი მაქვს საწინააღმდეგო ქუშანაანთ გორისა და კლდეეთის სამაროვანთა ქრონოლოგიური, მეტიც, კულტურული სიახლოვისა. მით უმეტეს, რომ ხსენებულ სამაროვნებთან როგორც ქრონოლოგიურ, ასევე ტიპოლოგიურ მსგავსებას ჩხარის ნეკროპოლიც ამჟღავნებს და ეს მსგავსება მხოლოდ აბზინდებით არ შემოიფარგლება.

რ. რამიშვილის ვარაუდით, შედარებით მცირე ზომის ენიანი აბზინდები შესაძლებელია ფეხსაცმელს უკავშირდებოდეს (26), ხოლო შედარებით დიდი ცალი, რომელსაც აქვს წაგრძელებული სწორკუთხა საღვედე, ქამრის ნაწილი უნდა იყოს (27). ანალოგიური დანიშნულება უნდა ჰქონოდა ჩხარის 0 სამარხში მიკვლეულ ცალსაც, რომელსაც შემორჩენილი აქვს სწორკუთხა საღვედის ნაწილი, მაგრამ სხვა ფრაგმენტების უქონლობის გამო რეკონსტრუქცია ვერ ხერხდება.

როგორც უკვე ითქვა, აბზინდები ფართოდ იყო გავრცელებული მთელი გვიან ანტიკური ხანის განმავლობაში და სამეცნიერო ლიტერატურაში

გამოთქმული აზრის თანახმად, არავითარ ეჭვს არ იწვევს მათი ადგილობრივი წარმოშავლობა (28). ჩავსებით ვიზიარებ აღნიშნულ მოსაზრებას და დავამატებ, რომ ენიანი აბზინდების პარალელურად, ადგილობრივი წარმოშობის უნდა იყოს ვერცხლის ორნაწილადი ენიანი ბალთებიც (სამარხი 0, ტაბ. IX სურ. 2).

აბზინდებისა და ბალთების კლასიფიკაციას უაღრესად საინტერესო და საჭირო გამოკვლევა მიუძღვნა ნ. აფხაზავამ. მან მონოგრაფიულად შეისწავლა გვიან ანტიკური და ადრე შუასაუკუნეების საქართველოში დადასტურებული აბზინდისა თუ ბალთის ყველა ნიმუში და სათანადო პარალელების გათვალისწინებით გამოჰყო ცალკეული ტიპები, ჯგუფები და ქვესახეობები (29). ამდენად, აღნიშნულ საკითხზე მსჯელობა აღარ მიმაჩნია საჭიროდ, რადგან ძნელია, მწირი მასალის პირობებში რაიმე განმაზოგადებელ პრობლემებზე საუბარი.

ჩხარის სამაროვანზე მიკვლეული იმ ნივთებიდან, რომელიც სამოსს უკავშირდება, ცალკე აღნიშვნის ღირსია ექსპედიციამდე გათხრილ 0 სამარხში აღმოჩენილი ჭვირული ბალთა. საბედნიეროდ, ასეთი მნიშვნელოვანი ნივთი გადაურჩა დაკარგვას და ამჯერად საშუალება გვეძლევა, უფრო დაწვრილებით განვიხილოთ იგი. მით უმეტეს, რომ ბალთა გვიან ანტიკური პერიოდის ქართული ხელოვნების შესანიშნავ ნიმუშთა რიგს მიეკუთვნება და, ალბათ, ბევრისთვის იქნება განსჯის საგანი.

ბალთის აღწერილობა მოცემულია 0 სამარხის განხილვისას (იხ. ზემოთ ტაბ. IX სურ. 3 ილუსტრაცია 1).

საქართველოს ტერიტორიაზე ბრინჯაოს ჭვირული ბალთები ძირითადად რაჭაში, ზემო იმერეთში, თრიალეთსა და შიდა ქართლშია მიკვლეული. მათ მეცნიერულ შესწავლას სათავე დაუდო განსვენებულმა არქეოლოგმა გ.გობეჯიშვილმა, ხოლო ბალთების ტიპოლოგია კლასიფიკაცია მოცემულია მ.ხიდაშელის მეტად საყურადღებო ნაშრომში,(31), რომელშიც განხილულია საქართველოში იმ მომენტისათვის აღმოჩენილი თითქმის ყველა ეგზემპლარი და გამოყოფილია სათანადო ჯგუფები, ასევე დადგენილია მათი მხატვრულ სტილისტური თავისებურებანი. უკანასკნელ პერიოდში, დაახლოებით ბოლო მეოთხედი საუკუნის მანძილზე, ჩვენში საკმაოდ გაიზარდა ჭვირული ბალთების შემცველი არქეოლოგიური ძეგლების აღმოჩენის შემთხვევები. მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ ნივთთა დიდი ნაწილი შემთხვევითაა მოპოვებული და ზოგჯერ სრულიად მიკლებულია არქეოლოგიურ კონტექსტს. მიუხედავად აღმოჩენების შემთხვევითი ხასიათისა, ჩხარის ბალთის თანმხლები ინვენტარი კარგად არის ცნობილი, რაც მის შესახებ უფრო დაბეჯითებით მსჯელობის საშუალებას იძლევა. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ჩხარის ბალთის ზუსტი ანალოგია ქვემო გოსტიბეს სამაროვნის მეშვიდე სამარხშია აღმოჩენილი (32).

ქვემო გოსტიბეს №7 სამარხში ბალთასთან ერთად ორი მონეტაც (ავგუსტი I-ის და არტაბან II-ის) არის მიკვლეული, რაც გარკვეულწილად აადვილებს კომპლექსის და მასთან ერთად ბალთის დათარიღებას. ავგუსტი I-ისა და სეპტიმუს სევერუსის მონეტები აღმოჩნდა ჩხარის 0 სამარხშიც. ამიტომ ამ ორი ბალთის დათარიღება არ უნდა წარმოადგენდეს სირთულეს და საშუალება გვეძლევა, ისინი II საუკუნის მიწურულითა და III საუკუნით დავათარიღოთ. მართალია, ამ შემთხვევაში ავგუსტის მონეტა მოკლებულია დამათარიღებელ მნიშვნელობას, მაგრამ ამ ხარვეზს გარკვეულად ავსებს სეპტიმუს სევერუსის დრაქმა.

ჩხარის ანალოგიური ჩანს ჯიეთის სამაროვნის (მდებარეობს ქ.ჭიათურის სამხრეთით, სამიოდე კმ-ს დაშორებით) №12 სამარხის ცალიც (33) და ბოლოს, განსახილველი ბალთის მსგავსია შემთხვევით აღმოჩენილი (აღმოჩენის ადგილი უცნობია) და ფ. ჰანჩარის მიერ გამოქვეყნებული, ბრიტანეთის მუზეუმში დაცული ნიმუშიც (34). ამ სამი პარალელის გარდა ჩხარის ბალთის სხვა იდენტური ცალები ჩემთვის ცნობილი არ არის. ყველა ჩამოთვლილ ნიმუშს აერთიანებს ერთი და იგივე პრინციპი- ბალთის ცენტრალურ ფიგურას წარმოადგენს სიბრტყეში მოცემული ტლანქი ცხოველი, რომელიც აერთიანებს ხარის (ზემოთ), ძაღლის (წინ) და ფრინველის (ქვემოთ) სტილიზებულ გამოსახულებებს.

მ.ხიდაშელი აღნიშნული ტიპის ბალთებს ათავსებს მესამე ჯგუფის მეორე ქვეჯგუფში(35). მისეული კლასიფიკაციით მესამე ჯგუფში გაერთიანებულია ის ბალთები, რომელთა კომპოზიციაც ოთხი ელემენტისაგან შედგება (ირემი, ხარი, ძაღლი, ფრინველი). კომპოზიციის ძირითად ფიგურას წარმოადგენს ფანტასტიკური ირემი, რომლის გარშემოც არის განლაგებული კომპოზიციის სხვა შემადგენელი ნაწილები (36). მესამე ჯგუფში გამოყოფილია სამი იკონოგრაფიული ქვეჯგუფი, რომლის დაყოფისას ამოსავალი წერტილი კვლავ ცენტრალური ცხოველია (37). მკვლევარის აზრით, მესამე ჯგუფის ბალთებში აშკარად შეინიშნება განვითარების გარკვეული ხაზი. ჩანს, თუ როგორ იძენს თანდათან ფანტასტიკური ირემი ცხენის ატრიბუტებს და ამ ტიპის ბალთების დეკორში ირმის ფიგურას სავსებით რეალისტურად შესრულებული ცხენი ცვლის (38). თანაც აღნიშნულია, რომ ცხენი დამოუკიდებელ მხატვრულ სახეს კი არ წარმოადგენს, არამედ მიღებულია ირმის სახის ევოლუციის შედეგად (39). ამ იკონოგრაფიული ნიშნით არის გამოყოფილი მესამე ჯგუფის მეორე ქვეჯგუფის ბალთები, რომელთა ფანტასტიკური ცხოველი სხეულის ზოგადი მონახაზით სულ უფრო ემსგავსება ცხენს. ცენტრალურ ფანტასტიკურ ცხოველს გამოსახული აქვს ნახევარმთვარისებური რქები, მაგრამ რქების ეს ფორმა კარგავს თავის მნიშვნელობას და ასრულებს ცხენის მოსართავის როლს (40).

ამრიგად, წარმოდგენილი მსჯელობიდან გამომდინარე სრულიად

მისაღებია ჩხარის ბალთის გაერთიანება მესამე ჯგუფის მეორე ქვეჯგუფში. მართლაც, ჩამოთვლილი ნიშან-თვისებები განსაზღვრავს მის მიკუთვნებას ზემოაღნიშნული ჯგუფისა და ქვეჯგუფისადმი.

ჩემს მიზანს არ წარმოადგენს ჭვირული ბალთების ზოგადი ჯგუფებისა თუ ტიპების კლასიფიცირება, ანდა სხვადასხვა ჯგუფებს შორის არსებული მსგავსება-განსხვავებების განხილვა, მაგრამ კონკრეტულად ჩხარის ბალთიდან გამომდინარე შეიძლებოდა შემდეგის აღნიშვნა. კერძოდ, თითქმის არავითარი საფუძველი არ არსებობს, რომ ჩხარისა და ჩხარის მსგავს ბალთებზე წარმოვიდგინოთ ირმის გამოსახულება. ამ ტიპის ნიმუშების ცენტრალური ცხოველი ყოველგვარი ყოყმანის გარეშე ცხენია, თუმცა იგი არ ატარებს ცხენის ყველა ნიშანს (მაგალითად, ნახევარმთვარისებური რქები), მაგრამ ამ შემთხვევაში ნახევარმთვარისებური რქები, შესაძლოა, არც ასრულებდეს რქის ფუნქციას და ისინი მხოლოდ ცხენის მოსართავები იყოს. სხვა დანარჩენი ნიშნების მიხედვით ეს ცხოველი აშკარად ცხენია. მას ამკობს ავშარი და ცხენებისათვის დამახასიათებელი ატრიბუტი, ტრადიციული საშუბლე. რაც შეეხება საკუთრივ ცხოველის გარეგნულ სახეს, ეჭვსგარეშეა, რომ იგი მხოლოდ და მხოლოდ ცხენი შეიძლება იყოს.

აღნიშნული ტიპის ბალთებზე ცენტრალური ფიგურა წარმოადგენილია სიბრტყობრივ პროფილში და მისი იკონოგრაფია უფრო რეალისტური მანერით არის გადმოცემული. მსგავსი ბალთების ცენტრალური ფიგურის შესრულებისას თითქმის გამქრალია ყოველგვარი სქემატურობა და ვხვდებით ხაზგასმულად რეალისტურ გამოსახულებებს. ასე რომ, ზოგადად შეიძლება გამოიყოს ბალთების ორი ჯგუფი-ირმიანი და ცხენიანი. ირმის გამოსახულებიანი ბალთები, როგორც ჩანს, დროში ოდნავ უსწრებენ ცხენის გამოსახულებიან ბალთებს. შეიძლება ისიც გვევარაუდა, რომ ცხენის გამოსახულებიანი ცალები წარმოადგენს ირმის გამოსახულებიანი ბალთების ლოგიკურ გაგრძელებას. ასეთ ბალთებზე ხარის ფიგურის გაჩენა საკრალური თვალსაზრისით უნდა სცვლიდეს ირმის რქებს და ხარს უნდა ჰქონდეს ირმის რქების ანალოგიური დატვირთვა. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თარიღის გარკვევის მხრივ (ცხენიანი თუ ირმიანი ბალთების ადრეულობა) თითქმის ყველა კანონზომიერება დარღვეულია და ერთდროულად თანაარსებობს როგორც ირმის, ასევე ცხენის ცენტრალურფიგურიანი ნიმუშები. ჩვენს ხელთ ამჟამად არსებული მასალებიდან გამომდინარე, რაოდენობრივად უფრო მეტია ირმის ან ფანტასტიკური ცხენ-ირმის გამოსახულებიანი ბალთები, ვიდრე რეალისტურად შესრულებული ცხენის ფიგურიანი ცალები. ეს ვითარება კიდევ ერთხელ უნდა მიანიშნებდეს ორივე სტილის ბალთების საერთო წარმომავლობაზე, მაგრამ თითქმის შეუძლებელია რომელიმე მათგანის პირველადობის აღიარება. ამ ვითარებაში თითქოს გადამწყვეტი უნდა

ყოფილიყო ირმის, როგორც საკრალური ცხოველის მნიშვნელობა, რასაც უნდა განენტკიცებინა აზრი ამ ცხოველის გამოსახულებიანი ბალთების უფრო პოპულარობისა და ადრეულობის შესახებაც, მაგრამ ისიც აღსანიშნავია, რომ გვიან ანტიკურ ხანაში ცხენის სიმბოლიკა უაღრესად გავრცელებულია და ცხენს, როგორც მითრაიზმის მთავარ ცხოველს, თითქმის გაბატონებული მდგომარეობა უკავია II-III საუკუნის ხელოვნებაში (არმაზისხევი, ბორი, ზღუდერი, ერწო). მთელი ამ მსჯელობიდან იმ აზრის გამოტანა შეიძლება, რომ ამ ეტაპზე პრაქტიკულად არ ხერხდება ირმისა და ცხენის გამოსახულებიანი ბალთების სრული გენეზისისა და ქრონოლოგიის გარკვევა. ეს, ალბათ, უფრო მომავლის საქმეა.

როგორც ზემოთ აღინიშნა, საქართველოში ბრინჯაოს ჭვირული ბალთები ძირითადად შიდა ქართლში, თრიალეთში, რაჭასა და იმერეთშია მიკვლეული. ამ მომენტიდან გამომდინარე, მკვლევარები ბალთების წარმოების ორ დიდ კერას გამოჰყოფენ-შიდა ქართლსა და რაჭა-იმერეთს (41). ვფიქრობ, რომ ჩხარის, ქვემო გოსტიბეს, ჯიეთისა და ჰანჩარის მიერ გამოქვეყნებული ჭვირული ბალთები ერთი სახელოსნოს თუ არა, ერთი სკოლის ნაწარმი მაინც უნდა იყოს და ერთი და იგივე პერიოდით, II-III საუკუნით უნდა თარიღდებოდეს.

მშვილდსაკინძები—ტანსაცმელთან დაკავშირებული ნივთების ეს სახეობა მიკვლეულია ჩხარის სამაროვნის №№ 4, 6, 11 და 12 სამარხებში, სულ 5 ერთეული. (№6 სამარხში დამოწმებულია ორი ფიბულა). ისინი დაზადებულია ვერცხლისა (№6 სამარხის ორივე ცალი) და ბრინჯაოსაგან (№№ 4, 11 და 12 სამარხები). ვერცხლის ცალებს შესაკრავი ენა ბრინჯაოსი ჰქონდათ, ხოლო ბრინჯაოს ფიბულებზე შერჩენილი რკინის ჟანგი იმის მოწმობაა, რომ მათი შესაკრავი ენა რკინის იყო.

ჩხარის სამაროვნის მშვილდსაკინძები განეკუთვნება ე.წ. რკალისებური ტიპის ფიბულებს. აღსანიშნავია, რომ ასეთი მშვილდსაკინძები არ არის დამახასიათებელი II-III საუკუნის დასავლეთ საქართველოსათვის, სადაც გავრცელებულია უპირატესად ბუდეაბმული ფიბულები. დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე კლდეეთიდან მთიანი აფხაზეთის ჩათვლით სწორედ ბუდეაბმული მშვილდსაკინძები დასტურდება (42). აღნიშვნის ღირსია ის გარემოებაც, რომ I-III საუკუნეების ქართლში მშვილდსაკინძები ან საერთოდ არ მოიპოვება არქეოლოგიურ კომპლექსებში (მაგალითად, არც ერთი ცალი არ არის არმაზისხევის პიტიახშთა სამაროვანზე), ან უკიდურეს შემთხვევაში, დიდ იშვიათობას წარმოადგენს. განსაკუთრებით ეს ითქმის რკალიანი ფიბულების მიმართ (43). ამ ტიპის ნივთები აღმოსავლეთ საქართველოში ცნობილია სტირფაზიდან, ახალგორიდან, აწყურიდან, სოხთიდან და ზოგადად I-V საუკუნეებით თარიღდება (44). ასე რომ, ჩხარული ცალები პირდაპირ ანალოგიებს სწორედ აღმოსავლეთ საქართველოს ნიმუშებთან პოულობს, რაც ჩემი აზრით, მრავლისმთქმელი მოვლენა უნდა იყოს.

ნ.აფხაზავას ვარაუდით, IV საუკუნეში დასავლეთ საქართველოდან ქართლში ფართოდ ვრცელდება ბუდეაბმული, მუხლზამბარიანი ორწილადი ფიბულები (45). ჩხარის აღმოჩენებს თუ გავითვალისწინებთ, შესაძლოა ისიც გვევარაუდა, რომ რკალიანი ფიბულებიც, ამ სახის ნივთთა სხვა ტიპების მსგავსად, სწორედ დასავლეთ საქართველოდან გავრცელდა ქართლში, მაგრამ იმის გამო, რომ II-III საუკუნეების დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური კომპლექსებში ასეთი სახეობის ფიბულები საერთოდ არ დასტურდება, ეჭვის ქვეშ აყენებს ამ ვარაუდს და უფრო იმ მოსაზრების ჩამოყალიბების საშუალებას გვაძლევს, რომ ქართლშიც და ეგრისშიც რკალიანი ფიბულები ერთი და იგივე გზიდან მომდინარეობს, ხოლო რომელია ეს საერთო კერა, ჯერჯერობით მაინც გაურკვეველი რჩება.

ტანსაცმელთან დაკავშირებული ნივთების მოკლე განხილვას ვამთავრებ საკერებელი ფირფიტებით, რომელთა შესახებ ვრცელი მსჯელობა არ მიმაჩნია მიზანშეწონილად, რადგან, ჯერ ერთი, მათი ამდაგვარი ფუნქცია არავითარ ეჭვს არ იწვევს და მეორეც, კონკრეტულად რა ფუნქციას ასრულებნენ ისინი, ჩემთვის უცნობია. როგორც ჩანს, მათი მთავარი ღირსება სამოსის გალამაზება უნდა ყოფილიყო.

იარაღი

სამაროვანზე აღმოჩენილი იარაღი მხოლოდ და მხოლოდ საბრძოლო დანიშნულებისაა. იარაღის ყველა ნიმუში რკინისგან არის დამზადებული. აქვე შევნიშნავ, რომ იარაღის აღმოჩენებს, ალბათ, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ჩხარის სამაროვანზე დაკრძალულ პიროვნებათა სოციალური სტატუსის გარკვევის საქმეში (იხ. ქვემოთ).

იარაღები მიკვლეულია №№ 0, 4, 8, 13 და 14 სამარხებში. რაც შეეხება №11 სამარხის რკინის დანას, იგი შეიძლება ერთადერთი საყოფაცხოვრებო ხასიათის იარაღი იყოს. თუმცა, არ გამოირიცხება მისი გამოყენება საბრძოლო დანიშნულებითაც (მაგალითად, სატევრის შემცვლელისა).

იარაღი წარმოდგენილია შემდეგი სახეობებით;

ა/ მახვილები (სამარხები №№ 0, 4, 14) (ტაბ. X სურ. 2. ტაბ.XV სურ.3 ტაბ. XXVI სურ. 3)

ბ/ სატევრები (სამარხები №№ 4, 14) (ტაბ. XV სურ. 1 და 2. ტაბ. XXVI სურ. 1)

გ/ შუბისპირები (სამარხები №№ 8, 14) (ტაბ. XIX სურ. 2. ტაბ. XXVI სურ. 2)

დ/ ისრისპირები (სამარხი 0) (ტაბ. X სურ. 1)

მახვილები—აღმოჩენილია სულ სამი ერთეული. მათ შორის ერთმანეთისადმი მსგავსებას უფრო 0 და 4 სამარხში აღმოჩენილი ცალები იჩენს. მათთვის ზოგადად დამახასიათებელია ორლესულობა, ჭრილში რომბული ფორმის პირი, დაბალი ქედი, ვიწრო მხრები, ბრტყელი და ვიწრო სატარე ყუნწი.

0 და 4 სამარხების მახვილთა ანალოგიები მიკვლეულია როგორც საკუთრივ დასავლეთ (ბანძა (46), ასევე აღმოსავლეთ საქართველოში (კახეთი, (47), არაგვის ხეობა (48). ბუნებრივია, რომ მსგავსი მახვილები აღმოჩენილია ჩხართან ახლოს მდებარე პუნქტშიც კლდეეთში (49).

აღნიშნული მასალებისაგან რამდენადმე განსხვავდება მეთოთხმეტე სამარხის ნიმუში. განსხვავება ძირითადად ტარისა და ვადის შემკულობაში ვლინდება. მეთოთხმეტე სამარხის მახვილს ვადაზე დამაგრებული აქვს თავმომრგვალებული, გამოშვერილი მხრები. სხვა ყველა დანარჩენი ნიშნით ისიც მთლიანად იმეორებს №0 და №4 სამარხის ანალოგიებს ამ მახვილის ზუსტი ასლი ფიქსირდება ჯიეთის სამაროვნის №15 სამარხში (50). სხვა ანალოგი ჯერჯერობით უცნობია. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ჩხარის მახვილები განსხვავდება ძევრში აღმოჩენილი ტარრგოლიანი ტიპის მახვილებისაგან (51). ორ, ერთმანეთის უშუალო მეზობელ სოფლებში მახვილთა სამი ტიპის აღმოჩენა ამ რეგიონში II III საუკუნეებისათვის სამხედრო საქმის საკმაო დაწინაურებულობაზე უნდა მიუთითებდეს.

სატევრები—ჩხარში მიკვლეულია სამი სატევარი. ისინი თითქმის ერთნაირი ფორმისაა. მათთვის დამახასიათებელი საერთო ნიშნებია: ფართო, წვერისკენ თანდათან შევიწროებული ტანი და ვიწრო სატარე ყუნწი.

დასავლეთ საქართველოს გვიან ანტიკური ხანის კომპლექსებისათვის სატევრების აღმოჩენების ფაქტები მრავალრიცხოვანი არ არის. კლდეეთში სულ ერთი ცალია მიკვლეული (№4 სამარხში). ორი ეგზემპლარი დადასტურებულია ძევრში (52). ჩხარის ტიპის სატევარი ფიქსირებულია არმახისხევშიც, ასპაგურ ერისთავის სამარხში (53). ჩხარის ცალებთან უშუალო სიახლოვეს იჩენს ყვირილის ხეობაში (რგანსა და ჯიეთში) გამოვლენილი სატევრებიც (54).

შუბისპირები—ჩხარის ოქონის გორაზე ეს სახეობა ორი ეგზემპლარით არის წარმოდგენილი და ფაქტიურად ერთმანეთის იდენტურია. საერთოდ, აღსანიშნავია, რომ გვიან ანტიკური ხანის დასავლეთ საქართველოს ბარისა და მთისწინეთის რეგიონში ძირითადად გავრცელებულია ერთი სახეობის შუბისპირები (55). მათგან რამდენადმე განსხვავდება მთის ზოლში გამოვლენილი ცალები, რომლებიც უფრო დიდი ზომის არის (56). თუმცა, იგივე მთის ზოლში განსახილველი ნიმუშების ზუსტი ანალოგიებიც საკმაოდ გვხვდება (57).

ჩხარის შუბისპირების მსგავსი ნიმუშები დასტურდება კლდეეთში, ბანძაში, ძევრში, ჩხოროწყუში (58) და სხვაგან. მათი ქრონოლოგიური ჩარჩოებიც ძირითადად II-III საუკუნეებით განისაზღვრება.

ისრისპირები—ისრისპირების აღმოჩენების შემთხვევები გვიან ანტიკური ხანის დასავლეთ საქართველოს კომპლექსებისათვის მეტად იშვიათია. ამიტომ ამ თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა აქვს ჩხარის 0 სამარხში მიკვლეულ ცალებს. აღსანიშნავია ისიც, რომ კლდეეთის გარდა, ბოლო დრომდე რკინის ისრისპირები თითქმის არსად იყო მიკვლეული (59). უკანასკნელ ხანებში ჩვენს მიერ რკინის ისრისპირები (კლდეეთურის და ჩხარულის მსგავსი) აღმოჩენილია რგანის სამაროვანზე (60). საინტერესოა იმ ფაქტის აღნიშვნაც, რომ ამ პერიოდის აღმოსავლეთ საქართველოში გავრცელებულია სამფრთიანი, ბრტყელი ისრისპირები და სამკუთხა ფორმის ე.წ. ჩასარჭობყუნწიანი ცალები თითქმის არ დასტურდება. ჩხარის ისრისპირების უახლოესი პარალელები კლდეეთური ნიმუშებია (61). ასე რომ, იარაღის ეს სახეობა დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოსათვის აშკარად განსხვავებულია. თუმცა, არც საკუთრივ დასავლეთ საქართველოშია ხშირი მათი აღმოჩენის შემთხვევები.

რაც შეეხება №11 სამარხის რკინის დანას, როგორც უკვე ითქვა, იგი ჩხარის სამაროვანზე ერთადერთი საყოფაცხოვრებო დანიშნულების იარაღია და მისი პარალელები საკმაოდ ბევრია და გვხვდება საქართველოს თითქმის მთელ ტერიტორიაზე (62). მსგავსი დანების გავრცელება დიდ ქრონოლოგიურ ჩარჩოში ექცევა და განუწყვეტლივ არსებობს გვიან ბრინჯაოს ხანიდან

დღემდე სამეცნიერო ლიტერატურაში ამ ნივთთა დანიშნულებაზე გამოთქმულია ორი განსხვავებული მოსაზრება. აკად. ბ.კუფტინის აზრით, ისინი ყურძნის საკრეფი იარაღი იყო (63), ხოლო გ.ლომთათიძის მიხედვით, ვინაიდან ასეთი დანები საკმაო რაოდენობით არის აღმოჩენილი ღებსა და ყაზბეგში, ხოლო არც ერთი მათგანი არ წარმოადგენს მევენახეობის რეგიონებს, მიზანშეუწონელია ამ დანების ფუნქციის მხოლოდ მევენახეობასთან დაკავშირება და როგორც ჩანს, მათ სხვა დანიშნულებაც უნდა ჰქონოდათ (64). ვფიქრობ, რომ მეორე მოსაზრება უფრო ახლოს უნდა იყოს სინამდვილესთან და რკინის მოხრილ დანებს ზოგადად საოჯახო თუ სამეურნეო საქმეში უნდა ჰქონოდა გამოყენება. ხოლო მეომართა სამარხების სიახლოვეს ასეთი ნივთის აღმოჩენის ფაქტი იმასაც მაფიქრებინებს, რომ შესაძლოა, მას ომიანობის პირობებში სატევრის შემცვლელადაც იყენებდნენ.

როგორც ვნახეთ, ცალკეული სახეობების სიმცირის მიუხედავად, ჩხარის სამაროვანზე გვიან ანტიკურ ხანაში გავრცელებული თითქმის ყველა იარაღია წარმოდგენილი. ეს ვითარება კი საშუალებას იძლევა, ჩხარის სამარხებში დაკრძალული მიცვალებულები სამხედრო საქმესთან უშუალოდ დაკავშირებულ პირებად მივიჩნიოთ და ზოგადად ეს სამაროვანი მხედართა ფენის კუთვნილებად ჩავთვალოთ. აქვე ისიც საინტერესოა, რომ დასავლეთ საქართველოსაგან განსხვავებით, აღმოსავლეთ საქართველოს გვიან ანტიკური პერიოდის ძეგლებისათვის დამახასიათებელია იარაღის ნაკლებობა. მაგალითად, ისეთ მრავალფეროვან არქეოლოგიურ ძეგლებზე როგორიცაა სამთავრო, ჟინვალი, ქუშანაანთ გორა, ზღუდერი და სხვა, საბრძოლო იარაღი საერთოდ არ ფიქსირდება. ამასთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ეს ვითარება აიხსნება ამ პუნქტების სპეციფიკური მდგომარეობით. სახელდობრ, აქ ცხოვრობს მშვიდობიანი, ქალაქის ხელოსანი (ან წარჩინებული ზ.ბ.) მოსახლეობა და ამიტომ ისინი არ იმარხებიან მეომართა წესით (65). თუმცა, ეს გარემოება სულაც არ ნიშნავს იმას, რომ იარაღიანი სამარხები საერთოდ უცხოა აღმოსავლეთ საქართველოსათვის და აღნიშნული სახის კომპლექსები მხოლოდ დასავლეთ საქართველოს პრეროგატივაა. როგორც უკვე ნაჩვენები იყო, აღმოსავლეთ საქართველოშიც მოიპოვება იარაღის შემცველი სამარხები და აქ გამოვლენილი ცალკეული ნიმუშები საოცარ მსგავსებასაც ამჟღავნებენ დასავლეთ საქართველოს და კერძოდ, ჩხარის სინქრონულ ცალებთან (ნეძიხი, ბეჟანბაღი, თბილისი). მეტიც, ამ პერიოდში დასტურდება ისეთი სამარხებიც, რომელშიც დაკრძალული პიროვნებები მიეკუთვნებიან წარჩინებულ მეომართა ფენას. ასეთია, კერძოდ, თბილისში გათხრილი III საუკუნის II ნახევრის კომპლექსი, რომელიც შეიცავს იარაღის მრავალფეროვან ასორტიმენტს (მახვილი, სატევარი, შუბისპირი, ისრისპირები) და რომელიც რაბრამიშვილის აზრით, წარჩინებული მეომრის კუთვნილი საძვალე უნდა იყოს (66).

სამკაული

საყურეები და საკიდები—ჩხარის სამაროვანზე მიკვლეული საყურეებიდან და საკიდებიდან ფორმის მიხედვით შესაძლებელი ხდება ორი ერთმანეთისაგან განსხვავებული ჯგუფის გამოყოფა. პრინციპში, არჩევანის დიდი საშუალება არც გვეძლევა, რადგან თითოეული ჯგუფის ნივთები თითო წყვილის სახით არის წარმოდგენილი. გამონაკლისს წარმოადგენს მტევნისებური დაბოლოების საყურეები-წყვილი ბრინჯაოსი და წყვილიც ოქროსი, რომლებიც ერთი შეხედვით განსხვავდება კიდეც ერთმანეთისაგან, მაგრამ შესრულების სტილის იდენტურობამ განაპირობა მათი გაერთიანება ერთ ჯგუფში, რადგან არც მასალისა და არც ღეროს სხვადასხვაობას ამ შემთხვევაში არ ენიჭება გადამწყვეტი მნიშვნელობა, რამეთუ ორივე წყვილის მახასიათებელი ნიშანი ყუნწზე მირჩილული პირამიდული მტევანია.

მეთორმეტე სამარხში აღმოჩენილ ბრინჯაოს საყურეებზე, ვფიქრობ, დაწვრილებით შეჩერება არც ღირს, იმდენად სადა, მარტივი და უსახური ფორმისაა ისინი (ტაბ. XXIII სურ. 2).

მეექვსე სამარხში მარცხნივ დაკრძალულ მიცვალებულს ამკობდა ვერცხლის თავგახსნილი, სამკუთხედის ფორმით დაბოლოებული საყურე (ტაბ.XVIII სურ. 5).

აღნიშნული სახეობის საკიდები სამეცნიერო ლიტერატურაში "წიწიბოსებური საყურეების" სახელწოდებით მოიხსენიება (67). ანალოგიური საყურეები ძირითადად აღმოსავლეთ საქართველოს არქეოლოგიურ ძეგლებზეა ფიქსირებული. მათგან აღსანიშნავია, არმაზისხევში მესამე (ბერსუმა პიტიახშის) და მეცხრე სამარხებში მიკვლეული ცალები, რომლებსაც ათარიღებენ: მესამე სამარხს III საუკუნის II ნახევრით (68), ხოლო მეცხრე (ბავშვის) სამარხს II საუკუნის შუა წლებით (69). მცხეთის გარდა ამ ტიპის საყურეები აღმოჩენილია ერწოში, ქუშანაანთ გორის მეოთხე, მეოთხე □, მეხუთე კომპლექსებში (70). ისინი მიკვლეულია ახალი ჟინვალის სამაროვნის 28-ე სამარხშიც (71). მოხმობილი პარალელები, ვფიქრობ, საკმარისი უნდა იყოს. მით უმეტეს, რომ ისინი კარგად წარმოაჩენს აღნიშნული სახეობის სამკაულის გავრცელების გეოგრაფიულსა და ქრონოლოგიურ ჩარჩოებს. როგორც ითქვა, "წიწიბოსებური" საყურის ყველაზე ადრეული ნიმუში II საუკუნის შუა ხანებია (მცხეთა), ხოლო ყველაზე გვიანდელი პარალელი ახალი ჟინვალის 28-ე სამარხის ნიმუშია. ამ სამარხს რ.რამიშვილი III საუკუნის მიწურულითა და IV საუკუნის დასაწყისით ათარიღებს (72). უფრო ადრეული პერიოდისაკენ იხრება ქუშანაანთ გორის მეხუთე სამარხიც (73). ასე რომ, "წიწიბოსებური" საყურეების ქრონოლოგია შედარებით ვიწრო ჩარჩოში ექცევა. ასეთი ნიმუშები გავრცელებულია

უპირატესად II-III საუკუნეებში, რასაც კიდევ ერთხელ ადასტურებს ჩხარის აღმოჩენის ფაქტიც.

ჩხარის აღმოჩენებში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მეექვსე სამარხში მარჯვნივ დაკრძალული მიცვალებულის კუთვნილ ოქროს საყურეებს. ისინი დამზადებულია ოვალურ განივკვეთიანი, არათანაბრადმორკალული რგოლისაგან. რგოლზე სპირალისებურად გადახვეულია ოქროს წვრილი მავთულები. რგოლის ბოლოში მირჩილულია ცვარათი შედგენილი, პირამიდული ფორმის ბურთულები, რომლებიც ქმნის მტევნის გამოსახულებას (ტაბ. XVI სურ.2 ილუსტრაცია 6).

მირჩილვის ანალოგიური ტექნიკა და ანალოგიური მტევნის ფორმა დადასტურებულია მეოთხე სამარხის ბრინჯაოს საყურეებზეც (ტაბ. XIV სურ. 2). სწორედ ამ ნიშნის მიხედვით ვაერთიანებ მათ ერთ ჯგუფში.

აღსანიშნავია, რომ მასიური ბურთულებით შედგენილი დეკორატიული მოტივი ყველაზე მკაფიოდ II-III საუკუნის სამკაულშია გავრცელებული. ზუსტად მსგავსი მანერით არის შესრულებული კლდეეთში, ბორში, სამთავროში, კარსნისხევში, ძამას ხეობაში მიკვლეული ცალებიც.

ჩხარის საყურეები ყველაზე ახლო ანალოგიებს კლდეეთის, ბორისა და კარსნისხევის ნიმუშებთან პოულობს. კლდეეთში ამ ტიპის ორი საყურეა დამოწმებული (74). კლდეეთის წყვილზე ყუნწით ჩამოკიდებულია ფუყე ბურთულებისგან შედგენილი მტევნები (75), რაც უცხოა ჩხარული ცალებისათვის. კლდეეთური ტიპისაა ბორში დადასტურებული წყვილიც (76). ამიტომ ჩხარის საყურეების უფრო ზუსტი და იდენტური ანალოგიები სამთავროს ნიმუშებია, რომლებსაც არ ამკობს რგოლზე ჩამოცმული, ბურთულებით შედგენილი მტევნები (77).

როგორც აღინიშნა, ასეთი საყურეები მოიპოვება კარსნისხევის 27-ე სამარხსა (78) და ძამას ხეობაში, სუქანაანთ უბნის სამარხშიც (79). იმ განსხვავებით, რომ ეს უკანასკნელი ბრინჯაოსგან არის დამზადებული. აღნიშნული ტიპის საყურეები გავრცელებული ყოფილა საქართველოს ფარგლებს გარეთაც (80).

გ.ლომთათიძის აზრით, ბორში, კლდეეთსა და სამთავროში მიკვლეული ნიმუშები ერთი სახელოსნოს, მეტიც, ერთი ხელოსნის ნამუშევარს ჰგავს (81). თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ ტიპის საყურეების აღმოჩენების შემთხვევები ხშირი არ არის, შეიძლებოდა მართლა გვევარაუდა მათი ერთი სახელოსნოდან წარმომავლობის შესაძლებლობა.

მირჩილულმტევნიანი საყურეები დასტურდება ერთი მხრივ, როგორც აღმოსავლეთ (სამთავრო, კარსნისხევი, ძამას ხეობა), ისე დასავლეთ საქართველოში (ბორი, კლდეეთი, ჩხარი), ხოლო მეორე მხრივ, როგორც მდიდრულ, განსაკუთრებით ოქროსგან დამზადებული ცალები, (ბორი, კლდეეთი), ასევე შედარებით ღარიბულ (სამთავრო, კარსნისხევი) სამარხებში. ეს ვითარება, ერთი შეხედვით, თითქოს უცნაურად გამოიყურება, მაგრამ

თუ გავითვალიწინებთ, რომ გვიან ანტიკური ხანის ოქრომჭედლობის დამახასიათებელი ნიშანი ისიცაა, რომ იგი ამ პერიოდში ფართო მოხმარების საგანი ხდება და კარგავს იმ ინდივიდუალურობასა და თავისთავადობას, რაც მისთვის ესოდენ ნიშანდობლივია ადრე ანტიკურ ხანაში, ამ ვითარების გამო ხშირია შემთხვევები, როდესაც გვიან ანტიკური ხანის სოციალურად და იერარქიულად სხვადასხვა დონის სამარხებში გვხვდება ერთმანეთის მსგავსი, ფაქტიურად იდენტური ოქროს ნაკეთობები. სწორედ ამ გარემოებით აიხსნება ჩხარში კლდეეთისა და ბორის მსგავსი საყურეების აღმოჩენაც. მაშინ, როდესაც, ჩხარის მეექვსე სამარხის მიცვალებული აშკარად სულ სხვა საზოგადოებრივ გარემოს მიეკუთვნება და გაცილებით დაბალ სოციალურ საფეხურზე დგას, ვიდრე კლდეეთისა და, განსაკუთრებით, ბორის წარჩინებული პირები.

ოქონის გორის მეექვსე სამარხში მარჯვნივ დაკრძალული მიცვალებულის გულ-მკერდის არეში აღმოჩნდა ბრინჯაოს ორი ნივთი, რომლებიც წარმოადგენს გახვრეტილ, მორკალულ ღეროზე შეკიდულ, წიწოვანი ორნამენტით შემკულ ბოლოწაწვეტებულ საკიდებს (ტაბ.XVI სურ3) აღნიშნული საკიდების ზუსტ ანალოგიებს ჯერჯერობით ვერსად მივაკვლიე, ამიტომ მათ შესახებ მსჯელობისაგან ამჯერად თავს შევიკავებ.

ყელსაკიდი რგოლი—მეექვსე სამარხის მარჯვნივ დაკრძალული მიცვალებულის კისრისა და ყელის არეში დადასტურდა ბრინჯაოს რგოლის ფრაგმენტები. ისინი წარმოადგენს ღერაკებს, რომლებიც დაწნეხილი და სპირალისებურად დახვეულია. რგოლს შემორჩენილი ჰქონდა შესაკრავის ნაწილი, ხოლო ნივთთან ერთად დაფიქსირდა ბრინჯაოსავე ფოთლისებური ფორმის საკიდი (ტაბ. XVI სურ. 4)

ანალოგიური ფოთლისებური ფორმის საკიდი აღმოჩნდა №15 სამარხშიც, ოღონდ იქ იგი წარმოდგენილი იყო რგოლის გარეშე (ტაბ.XXII სურ.5).

ღეროვანი, მავთულშემოვლებული ბრინჯაოს საკიდები აღმოჩენილია კლდეეთში (82), სოხთაში (83), ქვემო გოსტიბეში (84), ჯიეთში (85). მათგან სამეცნიერო მიმოქცევაში შესულია მხოლოდ კლდეეთისა და სოხთის ცალები, მაგრამ იმის გამო, რომ ორივე ნიმუში შემთხვევით არის აღმოჩენილი არაპროფესიონალი გამთხრელების მიერ, არც ერთგან ზუსტად არ არის დაფიქსირებული ნივთის განლაგების არე. ამ ვითარებამ გამოიწვია, რომ მისი დანიშნულება დღემდე გაურკვეველი იყო. გლომთათიძე კლდეეთში მიკვლეულ ნიმუშებს საკიდებად (86), ხოლო ბ.კუფტინი სოხთაში აღმოჩენილ ცალებს საკინძებად განიხილავდა (87). ჩემთვის ცნობილი მასალებიდან ჩხარის ნივთი პირველია, რომელიც სამარხში უშუალოდ მიცვალებულის ყელის არეშია დაფიქსირებული. რაც საშუალებას იძლევა იგი ყელსაკიდად მივიჩნიოთ. რგოლთან ერთად აღმოჩენილი ფოთლისებური ფორმის საკიდიც კარგად მიგვითითებს ნივთის ამგვარ დანიშნულებაზე.

სამაჯურები—ჩხარის ოქონის გორის სამაროვანზე· გამოვლენილი უკლებლივ ყველა სამაჯური თუ ხელის არეში აღმოჩენილი რგოლი ბრინჯაოსგან არის დამზადებული. გამოიყოფა სამაჯურთა ორი უმთავრესი ტიპი: მრგვალ განივკვეთიანი ღეროსაგან მიღებული თავგადახვეული სამაჯურები (სამარხები №№ 6, 13) და ბრტყელ განივკვეთიანი ღეროსაგან დამზადებული, წიწოვანი ორნამენტით შემკული თავშებრტყელებული ცალი (სამარხი №6). მათ გარდა, მეოთხე და მეექვსე სამარხში მიკვლეული იქნა ბრინჯაოს რგოლებიც, მაგრამ ისინი ისეთი მცირე ზომისანი არიან, მათი მიჩნევა სამაჯურებად თითქმის გამორიცხულია. ამიტომ ჩემთვის მათი დანიშნულება უცნობია.

საქართველოს ტერიტორიაზე თავგადახვეული სამაჯურები დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი. ისინი დაფიქსირებულია ურეკში (88), ჩხოროწყუში (89), ბორში (90), კლდეეთში (91), აღაიანში (92), ზრუდერში (93), არაგვისპირში (94), სამთავროში (95), არმაზისხევში (96), ჭერემში (97), ანალოგიური ოქროს სამაჯური აღმოჩენილია ჩვენ მიერაც ს. რგანში (98).

როგორც ძეგლების არასრული ჩამონათვალიდანაც კარგად ჩანს, მსგავსი ტიპის სამაჯურები მოიცავს საქართველოს თითქმის ყველა რეგიონს. აღნიშნული ნივთების დიდ პოპულარობაზე მეტყველებს ისიც, რომ თავგადახვეული სამაჯურები მზადდებოდა ნებისმიერი ლითონისაგან (ოქრო, ვერცხლი, ბრინჯაო, რკინა). ბუნებრივია, უფრო მდიდრულ სამარხებში სჭარბობს ოქროსა და ვერცხლის ცალები, ხოლო ბრინჯაოსა და რკინის ნიმუშები შედარებით მოკრძალებული კომპლექსებიდან მომდინარეობს. გეოგრაფიულ არეალთან ერთად ფართოა ამ ნივთთა გავრცელების ქრონოლოგიაც. ისინი გვხვდება მთელი გვიან ანტიკური პერიოდის განმავლობაში და ადრე ფეოდალურ ხანაშიც კი (VI-VIII საუკუნეებში) განაგრძობს არსებობას.

თავგადახვეული სამაჯურები ასევე დიდი რაოდენობით ვლინდება საქართველოს ფარგლებს გარეთაც. კერძოდ, ისინი წარმოადგენს ჩერნიახოვის კულტურის ერთ-ერთ უმთავრეს დამახასიათებელ ნიმუშებს (100). უკანასკნელი გამოკვლევების მიხედვით, ჩერნიახოვის კულტურის ქრონოლოგიურ საზღვრებად მიჩნეულია II-IV საუკუნეები (101). ასე რომ, ჩერნიახოვის კულტურა ჩვენში არსებული გვიან ანტიკური ხანის თანადროულია და, ამდენად, საინტერესოა, რას უნდა გამოეწვია ერთმანეთისაგან ასეთ დაშორებულ ადგილებში მსგავსი ნივთების არსებობა. მკვლევართა ნაწილი სარმატული ელემენტისა თუ სარმატული წეს-ჩვეულებების გავლენასაც მიაწერდა საქართველოში არამარტო თავგადახვეული სამაჯურების, არამედ საერთოდ ისეთი მოვლენების არსებობას, როგორიცაა: ცხენების დაკრძალვა, იარაღის დიდი რაოდენობით

ჩატანება და სხვა. თუმცა, აქვე იმასაც მიუთითებდნენ, რომ საჭირო იყო ამ საკითხის უფრო ღრმად გააზრება და ყურადღების იმაზე გამახვილება, თუ რა მომდინარეობს სარმატულ კულტურაში საერთო კავკასიური სამყაროდან (102). ცნობილია, რომ ჩერნიახოვის კულტურის ფორმირებაში დაკურ-თრაკიულ და გოთურ ეთნიკურ ელემენტთან ერთად აქტიურ როლს ასრულებდნენ სარმატებიც (103), მაგრამ არავითარი საბუთი, ან საფუძველი არ მოიპოვება საიმისოდ, რომ იგივე სიტუაცია მივუსადაგოთ გვიან ანტიკური ხანის საქართველოს სინამდვილეს. თუმცა, თუ გავითვალისწინებთ გვიან ანტიკურ ხანაში იმ გაცხოველებულსა და ინტენსიურ ურთიერთობებს, რაც არსებობდა სხვადასხვა ქვეყნებს, სხვადასხვა ეთნოსებსა და აქედან გამომდინარე სხვადასხვა კულტურებს შორის, მაშინ არ გამოირიცხება, რომ იგივე სარმატული კულტურისთვის დამახასიათებელი ნივთები გავრცელებულიყო საქართველოში და ზოგადად კავკასიაში და, პირიქით, აქედანაც მომხდარიყო სათანადო პროდუქციის ექსპორტი. მითუმეტეს, რომ გვიან ანტიკური ხანის მიწურული (III-IV საუკუნეები) ის ეპოქაა, როდესაც დასტურდება ხალხთა დიდი მიგრაციები და ამ პროცესში სრულიად ბუნებრივი იქნებოდა სხვადასხვა კულტურათა მიღწევების ტრანსმისიაც. მაგრამ ეს ვითარება სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენში სარმატული კულტურის, მათი წეს-ჩვეულებებისა და მით უფრო ეთნოსის რაიმე შესამჩნევი გავლენა ვივარაუდოთ, ისეთი, როგორიც აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, სადაც თავგადახვეული სამაჯურები საკმაოდ ბევრია და მათი იქ არსებობა უშუალოდ უკავშირდება სარმატების გავლენას (104). ჩვენს შემთხვევაში კი სარმატულ ტომებში ამ ნივთების კავკასიიდან გავრცელებაზე უფრო შეიძლება საუბარი, ვიდრე იქიდან აქეთ, რადგან როგორც საქართველოში აღმოჩენილი ნიმუშები მოწმობენ, მსგავსი სამაჯურები გაცილებით ადრე, ჯერ კიდევ ჩერნიახოვის კულტურის ჩამოყალიბებამდე ჩნდება ქართლის ტერიტორიაზე (აღაიანი 105) და I საუკუნის მსგავსი ნივთები ცნობილია საქართველოს სინამდვილისათვის.

ბეჭდები—ოქონის გორაზე ბეჭდები აღმოჩენილია №№ 4, 6, 9, 14 სამარხებში ხუთი ერთეულის სახით. მათგან ოთხი ვერცხლისაა, ხოლო ერთი (№9 სამარხის)-ბრინჯაოსი. ბეჭდები ორი სახეობისაა; ოთხი ნიმუში (სამი ვერცხლის და ერთი ბრინჯაოსი) დამზადებულია ბრტყელგანივკვეთიანი ღეროსაგან, თვალბუდიანია და ამკობთ სარდიონის და ქარვის თვლები (მეცხრე სამარხის ბეჭდის თვალბუდე არ დადასტურებულა, მაგრამ ეჭვსგარეშეა, რომ ისიც ანალოგიური ცალი იყო), ხოლო მეთოთხმეტე სამარხის ვერცხლის ბეჭედი წარმოადგენს მრგვალგანივკვეთიან რკალს, რომელსაც ჰქონდა მცირე ზომის ბუდე და მასში ჩასმული იყო ასევე მცირე ზომის თვალი.

ჩხარის ბეჭდების ანალოგიები ძირითადად დიდი მცხეთის მიდამოებშია

გამოვლენილი; სვეტიცხოველი (106), კარსნისხევი (107), სამთავრო (108). ეს ვითარება კიდევ ერთხელ მიანიშნებს იმ მჭიდრო კულტურულსა და ეკონომიკურ კავშირებზე, რაც არსებობდა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს შორის მთელი გვიან ანტიკური ხანის განმავლობაში.

ჩხარში მიკვლეული ბეჭდებიდან განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მეოთხე და მეთოთხმეტე სამარხში აღმოჩენილი ცალები, რადგან ისინი წარმოადგენს გემებს, რომელთა ქვებზე ამოჭრილია ინტალიოები.

მეოთხე სამარხის ბეჭდის სარდიონის ქვაზე გამოსახულია პროფილში მდგომი ომის მფარველი ღვთაება მარსი. მას თავზე ახურავს ჩაჩქანი, მარცხენა ხელში უპყრია შუბი, მარჯვენა ხელი გაწვდილი აქვს წინ.(ილუსტრაცია 5).

ჩხარის მეოთხე სამარხში მარსის გამოსახულებიანი ინტალიოს აღმოჩენა არ უნდა იყოს შემთხვევითი. როგორც მ.მაქსიმოვა აღნიშნავდა, მფარველი ღვთაებების არჩევანი გარკვეულწილად ახასიათებდა თვით ნივთის მფლობელის ვინაობას და განსაზღვრავდა მის სოციალურ სახეს (109). მარსის გამოსახულებიანი ინტალიოები აღმოჩენილია კლდეეთში (110) და სამთავროში (111). როგორც არქეოლოგიური აღმოჩენებით დადგენილია, ომის მფარველი ღვთაების მარსის გამოსახულებიანი ინტალიოები უპირატესად იარაღიან სამარხებში გვხვდება (კლდეეთი). თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩხარის მეოთხე სამარხის მიცვალებულიც სამხედრო საქმესთან დაკავშირებული პიროვნება იყო, მაშინ მარსის გამოსახულებიანი ინტალიო კიდევ ერთხელ ადასტურებს მისი სამხედრო ფენისადმი მჭიდრო და უშუალო სიახლოვეს.

რაც შეეხება მეთოთხმეტე სამარხის გემას, რომელზეც ამოკაწრულია ფანტასტიკური ცხოველი, იგი, ალბათ, სასანური წარმომავლობის, ან სასანური გემის მიბაძვით უნდა იყოს შესრულებული. საერთოდ, თუ დასავლური (რომაული) გემებისათვის დამახასიათებელი ნიშანი მათზე მფარველი ღვთაებების გამოსახვაა, ირანულ გემებზე ძირითადად გვხვდება რელიგიურ წარმოდგენებთან დაკავშირებული გამოსახულებები. თვით მეთოთხმეტე სამარხის ბეჭდის ფორმაც საკმაოდ ჰგავს სამთავროს სამაროვანზე მიკვლეულ ირანული წარმომავლობის ცალებს (112). სასანურ გემებზე რელიგიური მოტივის უპირატეს როლს აღნიშნავდა ფაკერმანიც და მიიჩნევდა, რომ ამ ტიპის გემებზე წარმოდგენილი გამოსახულებები უკავშირდებოდა თვით ირანელთა რელიგიურსა და ასტრალურ შეხედულებებს (113). აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ირანული წარმოშობის გლიპტიკურ ძეგლებზე გამოსახულებები ერთგვარად სტილიზებულია და ხშირ შემთხვევაში მათი გადმოცემის მანერა მოკლებულია რეალურობას და ატარებს ფანტასტიკურ იერს. ასეა ჩვენს შემთხვევაშიც.

მონეტები

აღმოჩენილია სამი ცალი. ორი მათგანი, როგორც უკვე აღინიშნა, ეკუთვნის ავგუსტი I-ს, ხოლო ერთი მოჭრილია სეპტიმუს სევერუსის სახელზე (ილუსტრაცია 3).

სამეცნიერო ლიტერატურაში დადგენილი აზრის თანახმად, ავგუსტი I-ის მონეტები ერთ-ერთ ძირითად საგადასახადო საშუალებას წარმოადგენდა საქართველოში (114). სწორედ ამ ფაქტის გამო ავგუსტის დენარები მიმოქცევაში იყო დიდი ხნის განმავლობაში და, ამდენად, ისინი მოკლებულია არქეოლოგიური ძეგლისა თუ ცალკეული კომპლექსის დამათარიღებელ მნიშვნელობას.

ჩხარში მიკვლეული მონეტები მოჭრილია კესარიაში. კ.გოლენკოს მოსაზრების თანახმად, კესარიული მონეტები კოლხეთში უნდა შემოსულიყო საზღვაო გზით (115). კოლხეთსა და იბერიაში კესარიული მონეტების გავრცელების შესახებ დამაჯერებელი თეზა წამოაყენა გ.დუნდუამ. მისი მოსაზრებით, კესარიული მონეტა მაქსიმალურად იყო მიახლოებული რომის იმპერიის ძირითად სამონეტო ერთეულთან-დენართან როგორც წონით, ასევე ზოგადი ტიპოლოგიით და ეს ფაქტი განსაზღვრავდა მის პოპულარობას. კესარიის ზარაფხანა კი თითქმის მაქსიმალურად აკმაყოფილებდა მთელი მცირე აზიის ბაზრის მოთხოვნებს (116). როგორც უკვე ითქვა, კესარიიდან მონეტები შემოდიოდა საზღვაო გზის გამოყენებით და ტრაპეზუნის გავლით ხვდებოდა უშუალოდ ეგრისში (117). რა თქმა უნდა, ეს მოსაზრება ანგარიშგასაწევია, მით უმეტეს, რომ იგი აღიარებულია ნუმიზმატების მიერაც (118), მაგრამ მაინც უნდა გამოირიცხებოდეს ტრაპეზუნისა და ეგრისის ცალკეული პუნქტების უშუალო კავშირ-ურთიერთობების შესაძლებლობა, რადგან ეჭვი არ არის, რომ ტრაპეზუნიდან შემოსული მონეტები უფრო მსხვილ ცენტრებში იქნებოდა კონცენტრირებული და სწორედ მათი მეშვეობით მოხვდებოდა ისეთ პუნქტებში, როგორიც იყო, მაგალითად, დღევანდელი ჩხარის ადგილზე არსებული დასახლება. ამრიგად, ტრაპეზუნსა და კოლხეთის აღმოსავლეთ რეგიონებს შორის უნდა არსებულიყვნენ დამაკავშირებელი, გადამანაწილებელი ცენტრები. შესაბამისად, რომაული მონეტებიც მას შემდეგ უნდა მოხვედრილიყო ამ რეგიონსა და, კერძოდ, ჩხარში, როდესაც ისინი შემოვიდნენ შიდა კოლხურ ბაზარზე.

დასავლეთ საქართველოში რომაული და, განსაკუთრებით, სეპტიმუს სევერუსის მონეტების დიდი რაოდენობით აღმოჩენების ფაქტები პოლიტიკური მომენტითაც უნდა ყოფილიყო გამოწვეული

VIII. საუკუნის ბიზანტიელი ავტორის გიორგი სიუნკელოზის გადმოცემით, რომის იმპერატორმა სეპტიმუს სევერუსმა დაიპყრო და

დაიმორჩილა ლაზიკა (119). აღნიშნულ ცნობას გარკვეულწილად იზიარებენ ნუმიზმატებიც (120). მაგრამ ისიც სავარაუდოა, რომ ბიზანტიელი ავტორის საკმაოდ გვიანდელი ცნობა შესაძლებელია არ ასახავდეს რეალურ ვითარებას და სეპტიმუს სევერუსის მონეტების სიმრავლე მარტო პოლიტიკური კი არა, ეკონომიკური მომენტითაც ყოფილიყო განპირობებული. თუმცა, ამ შემთხვევაში ეკონომიკურ მომენტს პოლიტიკური მხარეც განსაზღვრავდა. მაგალითად, რომაული გარნიზონის დგომა შავიზღვისპირეთში და ადგილობრივ მოსახლეობასთან მჭიდრო კონტაქტების დამყარება, რაც, ცხადია, ეკონომიკური ფაქტორის გარეშე ვერ განხორციელდებოდა. ისიც უდავოა, რომ რომს კოლხეთის ზღვისპირა ზოლი უფრო აინტერესებდა, ვიდრე შიდა რეგიონები და ამ მიზეზითაც არის ალბათ გამოწვეული ეგრისის შიდა და აღმოსავლეთ პროვინციებში რომაული მონეტების გაცილებითი სიმცირე ზღვისპირეთთან შედარებით. ეგრისის აღმოსავლეთ რეგიონის თითოეულ არქეოლოგიურ ძეგლზე მონეტების აღმოჩენა სულ რამდენიმე ცალობით შემოიფარგლება. ასეა ჩხარშიც, მაგრამ ამ მიზერულ რაოდენობასაც, რა თქმა უნდა, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება და ხშირ შემთხვევაში განსაზღვრავს კიდეც ამა თუ იმ ძეგლის ზუსტ თარიღს.

როგორც უკვე აღინიშნა (და ეს საყოველთაოდაა ცნობილი), ავგუსტის მონეტების მიხედვით პრაქტიკულად შეუძლებელია ძეგლების დათარიღება, მაგრამ, ვფიქრობ, ჩვენს შემთხვევაში გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება სეპტიმუს სევერუსის დრაქმის არსებობას, რადგან ისიც (სხვა მასალასთან ერთად) კიდევ ერთი არგუმენტია ჩხარის სამაროვნის II-III საუკუნის შუა ხანებით დასათარიღებლად.

მიმაჩნია, რომ ოქონის გორაზე გამოვლენილი არქეოლოგიური ძეგლები, სამწუხაროდ, არ იძლევა ცალკეული სამარხებისათვის თარიღის უფრო დაკონკრეტების საშუალებას.

ჩხარის სამაროვნის მნიშნელობა საქართველოს ძველი ისტორიისათვის

არქეოლოგიური მასალის მოკლე ტიპოლოგიური დახასიათების შემდეგ, დგება საკითხი გაირკვეს, საზოგადოების რომელ ფენას მიეკუთვნებიან ჩხარის ოქონის გორაზე დაკრძალული პიროვნებები. მით უმეტეს, რომ ახალი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნეები წარმოადგენს საზოგადოებრივი განვითარების ინტენსიურ პერიოდს (121) და ამ ვითარებაში მოსაძებნია ჩხარის სამარხთა ადგილი და როლი იმ დროინდელ ყოველდღიურ ყოფაში.

როგორც არქეოლოგიური მასალის განხილვისას რამდენჯერმე აღინიშნა, ჩხარის ნეკროპოლზე დაკრძალული პიროვნებები სამხედრო საქმესთან უშუალოდ დაკავშირებული მხედრები უნდა ყოფილიყვნენ. ასეთი ფიქრის საშუალებას იძლევა ოქონის გორის სამარხებში იარაღის თვალშისაცემი სიმრავლე სხვა ნივთებთან (სამკაული, ფუფუნების საგნები) შედარებით. ს. ჯანაშიას შენიშვნით, ამ ეპოქაში თანდათან უფრო რთულდება მეომრის შეიარაღება (122), რაც კიდევ ერთხელ დაადასტურა ჩხარის სამაროვნის გათხრებმა, რომელმაც გამოავლინა გვიან ანტიკური ხანის იარაღის თითქმის ყველა სახეობა (მახვილი, სატევარი, შუბისპირი, ისრისპირი).

გ. მელიქიშვილის მოსაზრების თანახმად, ახ. წ. პირველი საუკუნეებიდან ხშირი ომიანობის პირობებში სულ უფრო იზრდებოდა მოთხოვნილება სამხედრო საქმეში დასპეციალებულ ადამიანებზე რაც, თავის მხრივ, გამორიცხავდა მიწათმოქმედისა და მეომრის ფუნქციების შეთავსებას. შესაბამისად, ლაშქრობებში მონაწილეობის მიღებაც შეძლებული მეთემეების პრივილეგია ხდებოდა, რადგან მოლაშქრე საკუთარი იარაღით უნდა წასულიყო საომრად, რისი საშუალებაც მოსახლეობის ღატაკ ფენას, ცხადია, არ ჰქონდა. შეძლებული მეთემეების ფენიდან თანდათან ცალკე გამოიყოფოდა პროფესიანალი მოლაშქრეების-მხედრების სამხედრო ფენა. სწორედ მათგან იქმნებოდა მუდმივი სამხედრო რაზმები და ინიშნებოდნენ სამეფო მოხელეები (123). სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება იმის შესახებაც, რომ გვიან ანტიკურ ხანაში უნდა არსებულიყო ორი სახეობის ჯარი მაინ(ჯარის ასეთი დაყოფის საფუძველს განაპირობებდა მოსახლეობის ქონებრივი დიფერენციაცია. უფრო შეძლებული ნაწილი წარმოადგენდა ე. წ. მძიმე ჯარს, რომელიც შეიარაღებული იყო ცხენით, შუბით, ფარით და ჯავშნით, ხოლო მოსახლეობის შედარებით ღარიბი ნაწილის აღჭურვილობას წარმოადგენდა მსუბუქი იარაღი (მახვილი, სატევარი, შუბი). და შესაბამისად, ეს უკანასკნელი არც ასრულებდა გადამწყვეტ როლს საომარი მოქმედებების დროს. აქედან გამომდინარე, წილიც უმნიშვნელო ედო ომის დროს მოპოვებულ ალაფში (124).

თუ თვალს გადავავლებთ საქართველოს გვიან ანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლების ზოგად სიტუაციას, გამოჩნდება, რომ ეს მოსაზრება არცთუ მთლიანად გასაზიარებელია, რადგან ჯერჯერობით არქეოლოგიური მონაცემები მაინც არ იძლევა იმის საშუალებას, ჯარის ზოგად დიფერენციაზე და, მით უფრო, ომის პირობებში რომელიმე სახეობის ჯარის გამოკვეთილ როლზე ვიმსჯელოთ.

ცხენების, ფარების, ჯავშნების, შუბების აღმოჩენების შემთხვევები ერთ სამაროვამზე მინიმალურია (ასეთია, მაგალითად, ჩვენს მიერ გათხრილი რგანის სამაროვანი), ხოლო დანარჩენ შემთხვევებში სჭარბობს ე.წ. მსუბუქი იარაღის შემცველი კომპლექსები, რომლებიც ინვენტარის მრავალფეროვნების მხრივ, ცხადია, არაერთგვაროვანია. ასეა ჩხარის სამაროვანზეც. აქ №0 და №4 სამარხები აშკარად გამოირჩევა სხვა დანარჩენი კომპლექსებისაგან იარაღთან ერთად სამარხეული ინვენტარის მრავალფეროვნებით და ეჭვსგარეშეა, რომ მათი სახით საქმე უნდა გვქონდეს საზოგადოების საკმაოდ შეძლებული ფენის წარმომადგენლებთან, რომელთაც ხელეწიფებოდათ საკუთარი ხარჯით არა მხოლოდ საბრძოლო იარაღის, არამედ ფუფუნებისა და წარჩინებულობის დამადასტურებელი ნივთების შეძენაც (ინტალიო, ოქროს საყურეები, რომლებიც ნამდვილად იყო 0 სამარხში, მაგრამ დაიკარგა). ამ ფაქტის გათვალისწინებით ძნელია, მათ ქონებრივ შეუძლებლობაზე მსჯელობა, მაშინ როდესაც, ორივე სამარხის მიცვალებულს მხოლოდ ე.წ. მსუბუქი იარაღი ჰქონდათ გატანებული, ანუ ის ინვენტარი, რომელზეც ზემოთმოტანილი მოსაზრების თანახმად, მხოლოდ გაღატაკებულ მოსახლეობას მიუწვდებოდა ხელი. ამიტომაც, როდესაც ჯარის შემადგენლობაში საზოგადოების სხვადასხვა ფენების მონაწილეობაზეა საუბარი, ალბათ, ბევრი ნიუანსია გასათვალისწინებელი და არქეოლოგიური მონაპოვარიც თითქოს იმის ნიშანს იძლევა, რომ ცალკეული ძეგლების სიტუაცია (კლდეეთი, ბორი თუ სხვა) არ შეიძლება განიკრცოს ზოგადი კონტექსტით. ამ ვითარების ერთ ერთი კარგი დასტურია ჩხარის სამაროვანიც. მართალია იგი დასავლეთ საქართველოში მდებარეობს, ხოლო ზემოთ მოტანილი მსჯელობა შეეხება ქართლის სამეფოს, მაგრამ არა მგონია, ეს ფაქტორი რაიმე გადამწყვეტ როლს ასრულებდეს, ან რაიმეს ცვლიდეს, რადგან ანალოგიური ვითარება უნდა არსებულიყო დასავლეთ საქართველოშიც. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ჩხარის სამაროვნის მიკუთვნება მხოლოდ დასავლეთ საქართველოს კულტურული წრისადმი არ იქნებოდა გამართლებული, რადგან მის მონაპოვარში, როგორც უკვე მოხმობილი პარალელებით აღინიშნა, თავს იჩენს საქართველოს ორივე მხარისათვის დამახასიათებელი ნიშნები.

ბორისა და კლდეეთის აღმოჩენების შემდეგ დადებული იქნა დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს გამყოფი შიჯნა. თითქმის ყველა მკვლევარი მიიჩნევს, რომ ბორი აღმოსავლეთ საქართველოს, ქართლის წარჩინებულთა რეზიდენციაა, ხოლო კლდეეთში დაკრძალულნი არიან დასავლეთ

სურ. 1

სურ. 2

სურ. 3



სურ. 4





სურ. 5

ხერ. 6



სურ.7



სურ. 8



საქართველოს, კოლხეთის დაწინაურებული პირები (125). ჩხარის აღმოჩენებიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ კლდეეთისა და ბორის ასე სხვადასხვა კულტურული წრისადმი მიკუთვნება ცოტა ხელოვნურად გამოიყურება, რადგან არ ჩანს, რომ გვიან ანტიკურ ხანაში დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში ისეთი დიამეტრალურად განსხვავებული კულტურები არსებობდეს, რომ შესაძლებელი გახდეს ზღვარის დადება, სად იწყება ერთი და სად მთავრდება მეორე. ამის მკაფიო დასტური ისიც არის, რომ კლდეეთისა და არმაზისხევის არქეოლოგიური ძეგლები საკმაო მსგავსებას ამჟღავნებს. ამასვე ადასტურებს ძამას ხეობის აღმოჩენებიც, რომლის დათარიღებისათვის კლდეეთური ძეგლები უფრო მეტ ინფორმაციას იძლევა. ვიდრე ბორისა და სამთავროს მასალები (126), ხოლო ძამას ხეობის ჩართვა დასავლურ ქართულ წრეში წარმოუდგენელი ფაქტია. აქვე უნდა ითქვას, რომ არქეოლოგიური თვალსაზრისით გვიან ანტიკურ ხანაში იმდენად ერთფეროვანი ვითარებაა, რომ სხვადასხვა ქართულ კულტურებზე საუბარი არ უნდა იყოს მთლად მიზანშეწონილი. ამ დროს ხდება კულტურის უნიფიცირება, რასაც ბევრი გარემოება აპირობებდა. კერძოდ, რომაული და სასანური კულტურის გავლენა, სარმატული ელემენტის არსებობა, მათი ურთიერთშერწყმა, სინთეზი და საბოლოო ჯამში ადგილობრივი ელემენტის უპირატესობა. აღნიშნული სიტუაცია დამახასიათებელია სომხეთისთვისაც. ერთი შეხედვითაც ჩანს, რომ გარნის მსხლისებურკორპუსიანი კერამიკა თითქმის არაფრით განირჩევა საქართველოს ძეგლებზე მიკვლეული ცალებისაგან (127), მაგრამ გარნისა და ზოგადად სომხური კულტურის მიკუთვნება ქართული კულტურისადმი ხომ ნონსენსია! ამ შემთხვევაშიც გადამწყვეტ როლს ასრულებს ის იმპულსები, რომლებზეც ზემოთ იყო საუბარი, ანუ კულტურის უნიფიცირების პროცესი. ცნობილია, რომ არქეოლოგიური კულტურა თითქმის არ ემორჩილება პოლიტიკურ საზღვრებს და პოლიტიკური და კულტურული საზღვარი აბსოლუტურად არ ემთხვევა ერთმანეთს. პოლიტიკური საზღვარი არ არის ზღუდე კულტურის გავრცელებისათვის, რადგან კულტურული ერთობა და არქეოლოგიური კულტურა გაცილებით ფართო ცნებაა, ვიდრე პოლიტიკური კარჩაკეტილობა. ამიტომ მიმაჩნია, რომ კლდეეთსა და ბორზე გამავალი იბერია-კოლხეთის სასაზღვრო ზოლი არ შეიძლება მივიჩნიოთ აღმოსავლურ და დასავლურ ქართულ კულტურათა მიჯნად, რადგან ასეთი მიჯნის დადება გვიან ანტიკური ხანის ძეგლების სიმრავლის მიუხედავად, მაინც არ ხერხდება. მიუხედავად ამ პერიოდში საქართველოს ტერიტორიაზე ორი სხვადასხვა ქართული სახელმწიფოს არსებობისა, კულტურა, ზოგადი მნიშვნელობით, მაინც ერთფეროვანი იყო. უბრალოდ, ცალკეული ნივთების სხვადასხვაგვარად დამზადების მომენტი გამომდინარეობს მხოლოდ ლოკალური პირობებიდან და არამც და არამც არ შეიძლება მიჩნეული იქნეს კულტურის განმასხვავებელ ნიშნად. ანდა როგორ უნდა

მიეკუთვნებოდეს. მაგალითად, კლდეეთი დასავლურ ქართულ კულტურულ წრეს, როდესაც მისგან დასავლეთით მდებარე ჩხარის სამაროვნის მასალები ძირითად პარალელებს აღმოსავლეთ საქართველოს ძეგლებიდან მომდინარე ანალოგიებთან იჩენს (იარაღი, სამკაული, საყოფაცხოვრებო ნივთები, დაკრძალვის წესი). ჩემი აზრით, მართებულად არის შენიშნული ნ.ლომოურის მიერ, რომ თუ კლდეეთი იბერიის სამეფოში შედიოდა, კავშირი აქ მოპოვებულ ძეგლებსა და იბერიის სხვა ოლქების ნივთიერ კულტურას შორის ახსნას აღარ საჭიროებს, მაგრამ თუ კლდეეთი იბერიის საზღვრებს გარეთ, ლაზეთშია საგულვებელი, ცხადია, რომ კლდეეთის სამაროვნისა და თუნდაც მცხეთა-არმაზისხევის მჭიდრო კავშირი პოლიტიკური მომენტით ველარ აიხსნება (128). რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში პოლიტიკურზე უფრო გადამწყვეტ როლს ასრულებს საკუთრივ კულტურათა გენეტიკური ერთიანობის მომენტი.

გვიან ანტიკურ ხანაში იბერია-კოლხეთის გამყოფი ხაზის შესახებ თითქმის ყველა მკვლევარი VI საუკუნის ისტორიკოსის პროკოპი კესარიელის ცნობიდან გამომდინარე მსჯელობს. პროკოპის თანახმად, ამ ორ ქვეყანას შორის საზღვარი შორაპან-სკანდაზე გაივლიდა (129). თუ პროკოპის ეს ცნობა სინამდვილეს შეესაბამება, მაშინ ჩხარი ეგრისის ფარგლებში რჩება, ან უკიდურეს შემთხვევაში, ზედ ამ სასაზღვრო ხაზზე მდებარეობს. მაგრამ ისტორიკოსი ხომ საგანგებოდ მიუთითებს, რომ შორაპანი და სკანდა ლაზთა ციხეებია იბერიის საზღვარზე (130) და არა პირიქით, ე.ი. შორაპანიც და სკანდაც კი არიან სასაზღვრო ზოლში, მაგრამ ლაზეთის მხრიდან. ამიტომ შორაპანი, სკანდა და მათგან რამდენადმე დასავლეთით მდებარე ჩხარიც, ბუნებრივია, ლაზეთის პუნქტებია. მაგრამ აქვე ერთი კითხვაც ჩნდება, რა საფუძველი არსებობს იმისათვის, რომ VI საუკუნის ავტორის ცნობა ხელაღებით გადმოვიტანოთ და მივუსადაგოთ II-III საუკუნის ვითარებას? ვფიქრობ, არავითარი საფუძველი არა გვაქვს ეჭვი შევიტანოთ პროკოპის მიერ მოხაზულ იბერია-კოლხეთის გამყოფ პოლიტიკურ საზღვარში VI საუკუნის რეალობისათვის, ისევე როგორც ნაკლებად ეფექტური უნდა იყოს ამ ცნობის გამოყენება და, მით უფრო, მისადაგება ჩვენთვის საინტერესო პერიოდისათვის. აქვე იმასაც დავძენ, რომ ჩემეული მოსაზრებები შესაძლოა ბევრისთვის საკამათო ან სულაც მიუღებელი აღმოჩნდეს. ყოველშემთხვევაში, ჩვენი მომავალი არქეოლოგიური საქმიანობა, ალბათ, ამ კუთხითაც და ხსენებული საკითხების უფრო წინ წამოწევით უნდა წარიმართოს.

ჩხარის სამაროვნის მონაცემები კიდევ ერთხელ ადასტურებს გ.ლომთათიძის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ საზოგადოების დაბალ ფენებში უფრო თავისთავადი და ადგილობრივი კულტურის სურათს ვხვდებით, ვიდრე წარჩინებულთა წრეში (131), მაგრამ ოთ.ლორთქიფანიძის სამართლიანი შენიშვნით, ასეა მთელ რიგ ქვეყნებში (132) და ამ ფაქტზე ყურადღების საგანგებოდ გამახვილება არც ღირს.

ლიტერატურა

1. ქართლის ცხოვრება, IV თბ. 1975

2. მცხეთა I, თბ. 1955

3. რ.რამიშვილი,ერწოს ველი გვიან არმაზულ ხანაში, თბ.1979, გვ. 57

4. Г.Насидзе,Отчёт Тори–Ликанской экспедиции, АО,М.1983

5. გ.გვინჩიძე, ნოქალაქევის ქვევრსამარხები, მაცნე, №2, თბ. 1979

6. О.Д.Лордкипанидзе, Р.В.Путуридзе, М.Чкониа, В.А.Толордава, М.С.Пирцхалава, Н.Н.Матиашвили, Итоги Работ Ванской Археологической Экспедиции, ПАИ в 1979 году, Тб.1982

7. მ.სინაურიძე, ანტიკური ხანის სამარხები ულიანოვკიდან, სას, თბ,1979

8. გ.ნარიმანიშვილი, ნასტაკისის ანტიკური ხანის სამაროვანი, არქეოლოგიური ძიებანი, თბ.1979 გვ.97

9. ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ექსპედიციის 1990 და 1991 წლების ანგარიშები (ინახება არქეოლოგიური კვლევის ცენტრის არქივში)

10. გ.ნარიმანიშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 97

11. იქვე, გვ.100

12. იქვე, გვ.98-99

13. ვ.ჯაფარიძე, კლდეეთის სამაროვანი და დასავლეთ საქართველოს გვი-ანანტიკური ძეგლების შესწავლის საკითხი, ძმ, №68, თბ.1984, გვ. 31-32

14. იქვე

15. რ.ფუთურიძე, გვიან ანტიკური ხანის დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები, მსკა II, 1959, გვ.70

16. რ.ფუთურიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ.62

17. იქვე

18. იქვე, გვ.62

19. ს.მაკალათია,1920-1924 წლებში საქართველოში აღმოჩენილი ზოგიერთი ნეკროპოლის დათარიღებისათვის, სსმმ,IV, 1927, გვ.185-186, ტაბ.IX

20. გ.ლომთათიძე, კლდეეთის სამაროვანი, თბ.1955, გვ.25-27

21. რ.ფუთურიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ.70

22. გ.ლომთათიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ.24

23. რ.რამიშვილი, ერწოს ველი გვიან არმაზულ ხანაში, გვ.29, სურ.1

24. გ.ლომთათიძე, დასახელებული ნაშრომი, ტაბ.X

25. რ.რამიშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ.83

26. იქვე, გვ.82

27. იქვე

28. იქვე

29. ნ.აფხაზავა, ადრეული შუა საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოს ნივთიერი კულტურა, თბ. 1979, გვ. 37-60

30. გ.გობეჯიშვილი, ბრინჯაოს ქართული უძველესი ბალთები, სადისერტაციო ნაშრომი (ხელნაწერი) ,1942

31. მ.ხიდაშელი, ბრინჯაოს მხატვრული დამუშავების ისტორიისათვის ანტიკურ საქართველოში, თბ. 1972

32. ცნობა მომაწოდა ზ.თორთლაძემ, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდი

33. მასალა ინახება ხელოვნების მუზეუმში

34. მ.ხიდაშელი, დასახელებული ნაშრომი, ტაბ.X, სურ.124

35. იქვე, გვ.28-31

36. იქვე, გვ.28

37. იქვე, გვ.29

38. იქვე

39. იქვე

40. იქვე.გვ.29

41. იქვე.

42. გ.ლომთათიძე. დასახელებული ნაშრომი. ტაბ. XIII, XVI.

Г.К.Шамба, Ахаччарху–Древний Могильник Нагорной Абхазии, Сухуми,1970.таб.IV, VIII, XI, XII, XIII, XIV, XV, XVII

43. ნ.აფხაზავა, დასახელებული ნაშრომი. გვ.35

44. იქვე. ტაბ.I სურ.14

45. იქვე.გვ.35

46. ს.მაკალათია, დასახელებული ნაშრომი. ტაბ.IX

47. ნ.მამაიაშვილი. ბეჟანბალის ორმოსამარხი. კაეშ IV, თბ .1980, ტაბ.XXXII

48. ПАИ в 1986 г. Тб.1990 sur. 259

49. გ.ლომთათიძე. დასახელებული ნაშრომი. გვ.132, სურ. 26

50. მასალა ინახება ხელოვნების მუზეუმში

51. რ.ფუთურიძე. დასახელებული ნაშრომი. ტაბ.V. სურ.2

52. იქვე. გვ.77

53. მცხეთა I, ტაბ. XL 2

54. მასალა ინახება ხელოვნების მუზეუმში

55. რ.ფუთურიძე. დასახელებული ნაშრომი. გვ.76

56. Г.К.Шамба,указ.соч.таб.V და შემდეგ

57. იქვე

58. რ.ფუთურიძე. დასახელებული ნაშრომი. გვ. 76

59. გ.ლომთათიძე. დასახელებული ნაშრომი. გვ.144

60. მასალა ინახება ხელოვნების მუზეუმში

61. გ.ლომთათიძე. დასახელებული ნაშრომი. გვ. 143, სურ.30

62 რ.ფუთურიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 77

63. **Б.А.Куфтин, Материалы по Археологии Колхиды, т.1,Тб.1949,стр.40**

64. გ.ლომთათიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 18

65. რ.ფუთურიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 74-75

66. რ.აბრამიშვილი, დიდი თბილისის არქეოლოგიური ექსპედიციის ძირითადი შედეგები, თბილისი I, 1978,გვ. 12

67. რ.რამიშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 43

68. მცხეთა I, გვ.59

69. იქვე, გვ. 102, სურ. 137, 5-7

70. რ.რამიშვილი, დასახელებული ნაშრომი, სურ. 31,32,33 ფერადი ტაბულა VI

71. რ.რამიშვილი, ახალი ჟინვალის სამაროვანი და ნამოსახლარი 1971-1973 წლების განათხარის მიხედვით, ჟინვალი I, თბ. 1983 ტაბ. **XLVI,** სურ.2

72. იქვე, გვ. 121

73. რ.რამიშვილი, ერწოს ველი გვიან არმაზულ ხანაში, გვ. 46

74. გ.ლომთათიძე, დასახელებული ნაშრომი, ტაბ. XVI

75. იქვე, გვ. 42. ტაბ.XVI

76. Е.Придик, Новые Кавказскые Клады, МАР,# 34,М.1914,таб.II–2

77. გ.ლომთათიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 42

78. მცხეთა II, სურ. 284

79. გ.ნემსაძე, ბრინჯაოს ნივთებიანი სამარხი ძამას ხეობიდან, სსმმ,XXIX-**B,** 1972, გვ. 30

80. გ.ლომთათიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 48, ტაბ.XIII

81. იქვე

82. იქვე

83. Б.А.Куфтин, Археологическая–Маршрутная Экспедиция по Имеретию и Юго–Осетию в 1945 году, Тб.1948, стр.221, таб.I–13

84. ცნობა მომაწოდა ზ.თორთლაძემ

85. მასალა ინახება ხელოვნების მუზეუმში

86. გ.ლომთათიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 48

87. Б.А.Куфтин, указ.соч. стр.221

88. Н.В.Хоштариа, Археологическое Исследование Уреки, mska I, 1955, gv. 52

89. რ.ფუთურიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 58

90. М.Иващенко, Бори,1938, Б.А.Куфтин, Материалы. т.2, Тб. 1950,таб.18

91. გ.ლომთათიძე,დასახელებული ნაშრომი, ტაბ.XIX

92. ნ.მირიანაშვილი, შიდა ქართლის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, თბ. 1983, გვ. 64

93. Г.М.Немсадзе, Погребения Иберийской знати из Згудери КСИА 151, М.1977, стр.110

94. Р.М.Рамишвили, Новые открития на новостроиках Арагвского ущелья,КСИА 151 стр.120

95. მცხეთა VII, სურ. 236, 239

96. მცხეთა I, სურ. 139-6

97. ნ.მამაიაშვილი, ქ.ჯავახიშვილი, ჭერემის გვიანრომაული ხანის სამაროვანი, კაეშ VI, 1984, ტაბ. XXIV, XXVI, XLIII

98. მასალა ინახება ხელოვნების მუზეუმში

99. ნ.აფხაზავა, დასახელებული ნაშრომი, გვ.81

100. Т.Б.Барцева, Г.А.Вознесенская, Е.Н.Черних, Метал Черняховской культуры,М.1972,стр.85

101. იქვე. გვ.3

102. გ.ლომთათიძე. დასახელებული ნაშრომი. გვ. 189-190

103. Т.Б.Барцева и др. указ.соч. стр.4

104. Археология Венгрии,М.1986, стр.282

105. ნ.მირიანაშვილი. დასახელებული ნაშრომი.

106. მცხეთა IX. თბ. 1989. გვ.260

107. მცხეთა II. სურ. 285

108. მცხეთა III. სურ. 338. 340. 343 მცხეთა VII. სურ. 335. 356

109. М.Максимова, Геммы из некрополья Мцхета–Самтавро, ssmm, XVI–B, 1950, gv. 229

110. მარგ.ლორთქიფანიძე. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გემები. თბ. 1961. გვ. 20

111. მცხეთა VII. გვ. 78. სურ. 443

112. მ.მაქსიმოვა. დასახელებული ნაშრომი. გვ.264

113. იქვე. გვ.236. ლიტერატურა იქვე

114. Г.Ф.Дундуа, Монетное дело и монетное обращение в Грузии античной зпохи, автореферат докторской дисертации, Тб.1982 стр 35

115. К.В.Голенко,Денежное обращение Колхиды в Римское время,Л. 1964,стр.24

116. გ.დუნდუა. საქართველოს სამონეტო განძები. თბ. 1979 გვ. 10. ლიტერატურა იქვე

117. კ.გოლენკო. დასახელებული ნაშრომი. გვ. 36

118. გ.დუნდუა. დასახელებული ნაშრომი

119. გეორგიკა IV-I. 1941. გვ. 68

120. გ.დუნდუა. დასახელებული ნაშრომი

121. გ.მელიქიშვილი. სახელმწიფო წყობილება. საგვარეულო და

სამოხელეო არისტოკრატია-ქართლის მოსახლეობის გაბატონებული ფენები, სინ I, 1971, გვ. 659

122. ს.ჯანაშია, შრომები, ტ.I. 1946, გვ.207

123. გ.მელიქიშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 659-660

124. იქვე

125. ამ საკითხზე დაწვრილებით იხ. გ.ცქიტიშვილი, იბერიის საპიტიახშოს საკითხისათვის ლიხთიმერეთში, იიშ I, 1955, გვ. 309. აგრეთვე ვ.ჯაფარიძე, დასახელებული ნაშრომი

126. გ.ნემსაძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 30

127. Ж.Д.Хачатриан, Античный Некрополь, Гарни V, Ер.1976 таб.V

128. ნ.ლომოური, ეგრისის სამეფოს ისტორია, თბ.1968, გვ. 64

129. გეორგიკა II, 1965, გვ 155

130. იქვე

131. გ.ლომთათიძე, საქართველოს მოსახლეობის სოციალური და კულტურული დახასიათება I-III საუკუნეებში, იიშ I, 1955, გვ. 333

132. О.Д.Лордкипанидзе,Наследие Древней Грузии, Тб.1988 стр.369

Зураб Брагвадзе

Чхарский Могильник

(РЕЗЮМЕ)

Село Чхари расположенно в Западной Грузии, в Терджолском районе. На Чхарской Оконской горе археологическая экспедиция Государственного Музея Искусств Грузии открыла могильник, содержащий 15 погребений позднеантичной эпохи.

Погребение 1 – было обнаружено на глубине 20 см. от поверхности земли. Длина 190 см. Ширина 60 см. Кости покойнного сохранены частично. Поза захоронения до конца не установлена. Как видно, покойник был захоронен на правом боку, в полусогнутой позе, головой к юго–западу (таб.2. рис.1).

В погребении около ног покойного, был найден очень повреждённый кувшин (таб.13 рис.1),а на шее зафиксированы две бусинки сердолика (таб.13 рис.2).

Погребение 2 – было обнаружено на глубине 20 см. от поверхности земли. Длина 90 см. Ширина 80 см. Покойнный лежал в согнутой позе, на левом боку, головой к юго–западу (таб.2 рис.2).

В погребении зафиксированы: разные бусы, бронзовая грузинская Т–образной формы подвеска и фрагмент кувшина (таб.13 рис.3–4–5).

Погребение 3 – находилось на глубине 20 см. от поверхности земли. Длина 120 см. Ширина 50 см.Покоиоиный лежал в полусогнутой позе, головой к юго–западу (таб.2 рис.2).

В погребении были обнаружены разные бусы (таб.13 рис.6).

Погребение 4 – было расположено от поверхности земли на глубине 20 см. Длина 120 см. Ширина 60 см. Как видно, погребение огорожено камнями, остатки которых сохранились в северо–западной части. Покоиный лежал в полусогнутой позе, головой к югу (таб. 3 рис.1).

Погребение содержало следующий инвентарь – разные бусы, серебрянный перстень, который представляет гемму, с изображением Марса (илюстрация 5). Монета Августа Первого (илюстрация 3). Бронзовые серги (таб.15 рис.2), изделия из бронзы – колоколчик, застёжки, круг (таб.14), железные кинжалы и железный меч (таб.15).

Погребение 5 – было найдено от поверхности земли на глубине 20 см. Длина 120 см. Ширина 60 см. Покоиный лежал на правом боку, в согнутой позе, головой к юго–западу (таб.4

рис.1).

Погребение не содержит инвентаря.

Погребение 6 – было обнаружено от поверхности земли на глубине 20 см. Длина 120 см. Ширина 90 см. В погребении были захоронены два покойника в полусогнутой позе, головой к юго-западу (таб.4 рис.2).

У покойника захороненного вправо были найдены – бусы, нашейнный круг (таб.16 рис.4), золотые серьги (илюстрация 6), бронзовые подвески, кольца и браслеты, фибула, пластина,(таб.16)

У левого покойного было обнаруженно – серебрянный перстень, фибула, бронзовая пластина, бусы и обломки кувшина (таб.17).

Погребение 7 – находилось на глубине 20 см. от повехности земли. Длина 60 см. Ширина 40 см.

Покойник лежал в согнутой позе, на левом боку, головой к юго-западу (таб.5 рис.1).

На краю погребения лежали черепки глиняной посуды (таб.18).

Погребение 8 – обнаружено от поверхности земли на глубину 25 см. Длина 60 см. Ширина 40 см (таб.5 рис.2).

Скелет покойного сохранился фрагментично, поза захоронения не установливается.

В погребении было найдено железное копьё (таб.19 рис2).

Погребение 9 – находилось на глубине 20 см. от поверхности земли. Длина 110 см. Ширина 60 см. Покойник лежал в согнутой позе, на правом боку, головой к юго-западу (таб.6 рис.1).

В погребении были обнаружены бронзовый перстень, бусинка и черепки кувшина (таб.20).

Погребение 10 – было обнаружено на глубине 20 см. от поверхности земли. Погребение полностью разрушено, невозможно установить позу захоронения. Из археологического материала сохранились только обломки глиняного кувшина (таб.21).

Погребение 11 – находилось на глубине 20 см. от поверхности земли, покойник был захоронен в согнутой позе, на правом боку, головой к юго-западу (таб.6 рис.2).

Длина захоронения 110 см. Ширина 65 см.

В погребении найдены железная пряжка, бронзовая фибула и железный нож (таб.22).

Погребение 12 – длина 120 см. ширина 70 см. Выявилось на глубине 25 см. от поверхности земли, покойник был погребён в согнутой позе, на правом боку, головой к юго-западе (таб.7

рис.1).

Были обнаружены бусы, бронзовая фибула, кувшин (таб.23).

Погребение 13 – длина 130 см., ширина 70 см. Было найдено на глубине 20 см. от поверхности земли. Покойник лежал в согнутой позе, на правом боку, головой к юго–западе (таб.7 рис.2).

Около рук покойного оказалось железное копьё, около ног –кувшин (таб.24).

Погребение 14 – длина 110 см., ширина 60 см. Погребение находилось на глубине 25 см. от поверхности земли, покойник был захоронен в согнутой позе, на левом боку, головой к юго–западу (таб.8 рис.1).

В погребении найдены – серебрянная подвеска, серебрянный перстень (интальо), железный наконечник копья, железный кинжал, железный меч и глянный кувщин с двумя ручками (таб.25).

Погребение 15 – длина 120 см., ширина 55 см. Было выявлено на глубине 25 см. от поверхности земли. Покойник захоронен в согнутой позе, на правом боку, головой к юго–западу. У покойного оказались бронзовая подвеска и глиняная миска (таб 22 рис.5–6).

Исходя из многочисленных паралелей Чхарский могильник датируется II–III вв н.э.

ტაბულების აღწერილობა

ტაბულა I—ჩხარის ოქონის გორის სამაროვნის გათხრების გეგმა
ტაბულა II სურ.1—პირველი სამარხი
ტაბულა II სურ.2—მეორე სამარხი
ტაბულა III სურ.1—მესამე სამარხი
ტაბულა III სურ.2—მეოთხე სამარხი
ტაბულა IV სურ.1—მეხუთე სამარხი
ტაბულა IV სურ.2—მეექვსე სამარხი
ტაბულა V სურ.1—მეშვიდე სამარხი
ტაბულა V სურ.2—მერვე სამარხი
ტაბულა VI სურ.1—მეცხრე სამარხი
ტაბულა VI სურ.2—მეთერთმეტე სამარხი
ტაბულა VII სურ.1—მეთორმეტე სამარხი
ტაბულა VII სურ2—მეცამეტე სამარხი
ტაბულა VIII სურ.1—მეთოთხმეტე სამარხი
ტაბულა VIII სურ.2—სარიტუალო ქვევრი
ტაბულა IX სურ.1—ბრინჯაოს აბზინდა (სამარხი 0)
ტაბულა IX სურ.2—ვერცხლის ბალთა (სამარხი 0)
ტაბულა IX სურ.3—ბრინჯაოს ბალთა (სამარხი 0)
ტაბულა X სურ.1—ისრისპირები (სამარხი 0)
ტაბულა X სურ.2—რკინის მახვილი (სამარხი 0)
ტაბულა XI სურ.1—მონეტები (სამარხი 0)
ტაბულა XI სურ.2—მძივები (სამარხი 0)
ტაბულა XII—დოქი (სამარხი 0)
ტაბულა XIII სურ.1—დოქის ძირი (სამარხი 1)
ტაბულა XIII სურ.2—მძივები (სამარხი 1)
ტაბულა XIII სურ.3—საკიდი (სამარხი 2)
ტაბულა XIII სურ.4—მძივები (სამარხი 2)
ტაბულა XIII სურ.5—თიხის ჭურჭლის ძირი (სამარხი 2)
ტაბულა XIII სურ.6—მძივები (სამარხი 3)
ტაბულა XIV სურ.1—მძივები (სამარხი 4)
ტაბულა XIV სურ.2—ბრინჯაოს საყურეები (სამარხი 4)
ტაბულა XIV სურ.3—ბრინჯაოს აბზინდა (სამარხი 4)
ტაბულა XIV სურ.4—მშვილდსაკინძი (სამარხი 4)
ტაბულა XIV სურ.5—ინტალიო მარსის გამოსახულებით(სამარხი4)
ტაბულა XIV სურ.6—მონეტა ავგუსტი I-ის (სამარხი 4)
ტაბულა XIV სურ.7—ვერცხლის ბეჭედი (სამარხი 4)
ტაბულა XIV სურ.8—ბრინჯაოს ზარაკი (სამარხი 4)
ტაბულა XIV სურ.9—ბრინჯაოს რგოლი (სამარხი 4)
ტაბულა XIV სურ.10—ვერცხლის ფირფიტები (სამარხი 4)

ტაბულა XV სურ.1—რკინის სატევარი (სამარხი 4)
ტაბულა XV სურ.2—რკინის სატევარი (სამარხი 4)
ტაბულა XV სურ.3— რკინის მახვილი (სამარხი 4)
ტაბულა XVI სურ.1—მძივები (სამარხი 6. მარჯვენა მიცვალებული
ტაბულა XVI სურ.2—ოქროს საყურეები ("————————")
ტაბულა XVI სურ.3—ბრინჯაოს საკიდები("————————")
ტაბულა XVI სურ.4—ბრინჯაოს ყელსაკიდი ("————————")
ტაბულა XVI სურ.5—სამაჯური ("————————")
ტაბულა XVI სურ.6—ბრინჯაოს რგოლი ("————————")
ტაბულა XVI სურ.7—მშვილდსაკინძი ("————————")
ტაბულა XVII სურ1.—ბრინჯაოს ფირფიტა ("————————")
ტაბულა XVII სურ.2—ვერცხლის ბეჭედი ("————————")
ტაბულა XVII სურ.3—ვერცხლის ბეჭედი ("————————")
ტაბულა XVII სურ.4—ბრინჯაოს რგოლი ("————————")
ტაბულა XVII სურ.5—ბრინჯაოს სამაჯური ("————————")
ტაბულა XVIII სურ.1—მძივები (სამარხი 6. მარცხ. მიცვალებული)
ტაბულა XVIII სურ.2—ხალიჩისებური მძივი ("————————")
ტაბულა XVIII სურ.3—თიხის ჭურჭლის ნატეხი ("————————")
ტაბულა XVIII სურ4.—მშვილდსაკინძი ("————————")
ტაბულა XVIII სურ.5—ვერცხლის საყურე ("————————")
ტაბულა XVIII სურ.6—ბრინჯაოს ფირფიტა ("————————")
ტაბულა XVIII სურ.7—ქარვის თვალი ("————————")
ტაბულა XIX სურ.1—დოქი (სამარხი 7)
ტაბულა XIX სურ.2—შუბისპირი (სამარხი 8)
ტაბულა XX სურ.1—ბრინჯაოს ბეჭედი (სამარხი 9)
ტაბულა XX სურ.2—მძივი (სამარხი 9)
ტაბულა XX სურ.3—დოქი (სამარხი 9)
ტაბულა XXI —დოქი (სამარხი 10)
ტაბულა XXII სურ.1—მშვილდსაკინძი (სამარხი 11)
ტაბულა XXII სურ.2—რკინის დანა (სამარხი 11)
ტაბულა XXII სურ.3—რკინის აბზინდა (სამარხი 11)
ტაბულა XXII სურ.4—რკინის აბზინდა (სამარხი 11)
ტაბულა XXII სურ.5—ბრინჯაოს საკიდი (სამარხი 15)
ტაბულა XXII სურ.6—ჯამი (სამარხი 15)
ტაბულა XXIII სურ.1—მძივები (სამარხი 12)
ტაბულა XXIII სურ.2—ბრინჯაოს საყურეები (სამარხი 12)
ტაბულა XXIII სურ.3—მშვილდსაკინძი (სამარხი 12)
ტაბულა XXIII სურ.4—დოქი (სამარხი 12)
ტაბულა XXIV სურ.1—რკინის შუბისპირი (სამარხი 13)

ტაბულა XXIV სურ.2—დოქის ფრაგმენტები (სამარხი 13)
ტაბულა XXIV სურ.3—სამაჯური (სამარხი 13)
ტაბულა XXV—დოქი (სამარხი 14)
ტაბულა XXVI სურ.1—რკინის სატევარი (სამარხი 14)
ტაბულა XXVI სურ.2—რკინის შუბისპირი (სამარხი 14)
ტაბულა XXVI სურ.3—რკინის მახვილი (სამარხი 14)
ტაბულა XXVI სურ.4—ვერცხლის საკიდი (სამარხი 14)
ტაბულა XXVI სურ.5—ბეჭედი ინტალიოთი (სამარხი 14)

ილუსტრაციების აღწერილობა

სურათი 1—ბრინჯაოს ჭვირული ბალთა
სურათი 2—თიხის დოქი
სურათი 3 1—სეპტიმუს სევერუსის მონეტა
სურათი 3 2 3—ავგუსტი I ის მონეტები
სურათი 4—რკინის ნივთები
სურათი 5—ინტალიო მარსის გამოსახულებით
სურათი 6—ოქროს საყურეები
სურათი 7—ბრინჯაოს და ვერცხლის ნივთები
სურათი 8—ბრინჯაოს ყელსაკიდი

სარჩევი

შესავალი ——————————————————————3

ჩხარის ოქონის გორის სამაროვანი ——————————————6

დაკრძალვის წესი ოქონის გორის სამაროვანზე ——————————16

კერამიკა ——————————————————————20

ტანსაცმელთან დაკავშირებული ნივთები ——————————24

იარაღი ——————————————————————30

სამკაული ——————————————————————33

მონეტები ——————————————————————39

ჩხარის სამაროვნის მნიშვნელობა საქართველოს ძველი
ისტორიისათვის ——————————————————41

ლიტერატურა ——————————————————45

რეზიუმე რუსულ ენაზე ——————————————52

ტაბულების აღწერილობა ——————————————55

ჩხარის სამაროვნის გეგმა მ 1:100 ტაბ.I



სურ. 1



სურ. 2

სურ. 1

სურ. 2



სურ. 1

სურ. 2



სურ. 1

სურ. 2



სურ. 1



სურ. 2



სურ. 1



სურ. 2



სურ. 1



სურ. 2



სურ.3



სურ.2



სურ.1



X ილუსტრ.

పటం 2

ტაბულა XII





სურ.4

სურ.3

ხამარხი I



სურ.2

სურ.5



სურ.1



სურ.6

ხამარხი III

სურ. 1
სურ. 2
სურ. 3
სურ. 4
სურ. 5
სურ. 6
სურ. 7
სურ. 8
სურ. 9
0 1 2 3 4 5


სურ.1
ə 1:1
სურ.3
ə 1:5



სურ.5



სურ.3



სურ.6



სურ.1



სურ.4



სურ.2



სურ.7

ə 1:1



სურ.2



სურ.1



სურ.3





სურ.5



სურ.7

სურ.5



სურ.6

სურ.4



სურ.3



სურ.1



სურ.2

მ 1:1

სურ.1



სურ.2

მ 1:1



სურ.3



ტაბულა XXII



სურ.5



სურ.6

მ 1:1

სამარხი XI



სურ.4





სურ.1



სურ 2

მ 1:1



სურ.4

 მ 1:2



სურ.3





სურ.2



სურ.1

მ 1:1





სურ.2



სურ.3






სურ.3
მ 1:5
სურ.2
მ 1:2
სურ.1
სურ.4
სურ.5

ZURAB BRAGVADZE

NECROPOL OF CHKHARI
(In Georgien)

საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის
სარედაქციო ჯგუფი

რედაქტორი — ნინო ნადარაია
მხატვარი — ლერი ფავლენიშვილი
მთარგმნელი — ცირა ბასილაძე

აიწყო და დაკაბადონდა ხელოვნების მუზეუმის
კომპიუტერულ ცენტრში
დამკაბადონებელი — ნანა სიხარულიძე

ტირაჟი - 500 ეკზ.
დაიბეჭდა შპს "ტრიადას" სტამბაში. თბილისი
ლ.გუდიაშვილის ქ.№1